ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

**დავითგარეჯის საქმეზე სასამართლოში აზერბაიჯანში საქართველოს ყოფილი ელჩი დაიკითხა**

**შეიწყალეთ ნიკა გვარამია!**


გვ.5

პარასკევი, 17 ივნისი, 2022 №118 (8896) ფასი: 80 თეთრი

# „პრეზიდენტი ხალხის გახლეჩას შეეცადა“



თაკო ჩარკვიანი: „როგორც „გავრილოვის ღამეს“ ამისტებს და იმისტები ვიდექით, ახლაც ასე, ერთად უნდა დავდგეთ 20 ივნისს“


გვ.2

## „სალომე ზურაბიშვილს ივანიშვილის დაცვა თუ უნდოდა, ბრიუსელში დაეცვა“


გვ.3

სოსო ცინცაძე: „უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, სჯობს იმოქმედოს“

„ოცნებამ“ მართლაც ხუთიანზე შექმლო საარჩევნოდ გაცემული დაპირებების დავიწყება და ხალხი სოციალური პრობლემებიდან პოლიტიკაზე მშვიდად გადართო“

## „ევროკავშირის მხრიდან დიდი შეცდომა იქნება, თუ სტატუსს არ მოგვცემენ“

ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ მივდივართ 20 ივნისის აქციაზე!“


გვ.2

## გიორგი ვაშაძე: „კობახიძე გამოვიდა და 12-გზის მოიტყუა“


გვ.3


გვ.4

## ნათია მეზვრიშვილი: „ოცნების“ ელექტორალური რღვევა დაწყებულია“


გვ.4

## „პრეზიდენტმა ხელისუფლების მიმართ ნაჩქარევი შეფასებები გააკეთა“

დათო ლორთქიფანიძე: „სირცხვილია“ 20-ში პრეზიდენტს მათ აქციაზე იწვევს. ვფიქრობ, ეს უკვე მათი შიდა თემებია“

## დამოუკიდებელი ექსპერტი მედოვარი: „რუსეთში პუტინის ძალლიც შეიძლება გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი“


გვ.3

## ანა ნაცვლიშვილი: „მთავარია, რომ მოქალაქეები ერთ აქციაზე მაინც აუცილებლად მოვიდნენ“


გვ.3

1993230720223

5 „თამუნა ექიმი რეანიმაციაშია“ ქალს ხობში მანქანა დაეჯახა

5 გორის მერია მორიგ სკანდალში ეხვევა

6 ზელენსკი: „უკრაინამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კანდიდატის სტატუსი მოეპოვებინა“

6 ფიტნეს-მწვრთნელმა პრინცესა ევგენიას საიდუმლო გაამხილა

# „პრეზიდენტი ხალხის გახლეჩას შეეცადა“

## თაკო ჩარკვიანი: „როგორც „გავრილოვის ღამეს“ ამისტები და იმისტები ვიდექით, ახლაც ასე, ერთად უნდა დავდგეთ 20 ივნისს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.**

***— ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? კანდიდატის სტატუსის მოლოდინში ვართ, თუმცა აქ იმაზე დავობენ და ის ვერ გაურკვევიათ, ვინ რომელ და ვის აქციაზე უნდა მივიდეს. ევროპის ლიდერები ჩადიან მოლდოვასა და უკრაინაში, ჩვენთან არავინ ჩამოსულა. რა მოლოდინები გაქვთ? დავრჩებით სტატუსის გარეშე?***

— გაგიკვირდებათ, მაგრამ მე მაინც მაქვს გარკვეულწილად დადებითი მოლოდინი. მე სისტემატიურად მაქვს კონტაქტი ელჩებთან, ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და გარკვეული სურათი ჩემთვის ნათელია. ამიტომ დიდი შანსია, რომ მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც საქართველოსთვის კარგი იქნება.

***— მაკრონის განცხადებას მოვიშველიებ, უკრაინა და მოლდოვა არ უნდა დავაშოროთ ერთმანეთს და საქართველოს კი სულ სხვა გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვსო. რას ნიშნავს ეს გზავნილი?***

— ამ შემთხვევაში არ ავყვები ამ განცხადებას. მე ვხედავ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. ჩვენ ხშირად მოგვისმენია მაკრონის სხვადასხვა ტიპის განცხადებები, თუმც გვინახავს შემთხვევები, რომ შემდეგ სხვა გადაწყვეტილება მიუღიათ. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი და შეხედულება. მაკრონის აზრი გარკვეულწილად ობიექტურობას ეფუძნება, თუმცა ამ ქვეყანაში ძალიან დიდი ინვესტიცია აქვს განხორციელებული დასავლეთს. შესაბამისად, მე არ მგონია, რომ კრებსითი კობახიძეების მიხედვით უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. მე მაინც ვფიქრობ, რომ პოლიტიკური



**„არ მგონია, რომ დასავლეთმა კობახიძის და მისნაირების განცხადებებს ყურადღება მიაქციოს“**

გადაწყვეტილება უნდა მიიღოს დასავლეთმა, რადგან მცირე იმედიც კი არ გაუჩინოს რუსეთს სამომავლოდ.

***— კობახიძე ახსენეთ და მისი განცხადებები საკმაოდ აგრესიულია ბოლო პერიოდში. საკმაოდ კრიტიკულები არიან დასავლელი პარტნიორების მიმართ. რა ხდება, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა?***

— აუცილებლად ასეა. ეს არის კობახიძის მიზანმიმართული გეგმის ნაწილი. მე არ მგონია, რომ დასავლეთმა კობახიძის და მისნაირების განცხადებებს ყურადღება მიაქციოს. მაინც მგონია, რომ მიიღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. შეიძლება ხავსს ვეჭიდები, მაგრამ ამ იმედის საფუძველი მაქვს, რადგან ძალიან ბევრია იქ ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი. ხალხის მიმართ მეგობრულად განწყობილი და არა „ოცნების“ ხელისუფლებს მიმართ. რეზოლუციაშიც, ძალიან გამიჯნული იყო ხალხი და ისინი წერდნენ, რომ ხალხი და ქვეყანა იმსახურებს.

***— ამ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო ივანიშვილის და მისი დასანქცირების საკითხი. ამაზე რას იტყვით?***

— მე, სალომე ზურაბიშვილის სფიჩი როცა მოვისმინე, პრაქტიკულად მთელი მისი გამოსვლა მიმართული იყო იქითკენ, რომ ბიჭებო, თქვენ რომ ცუდად იმუშავეთ, გულისხმობდა კობახიძე-ღარიბაშვილს, აი ამიტომ დაიწყეს ივანიშვილის მიმართ სანქციებზე საუბარი. ის კი არა, რომ აი, ივანიშვილმა რომ „კარგად“ იმუშავა რუსეთზე, ამიტომ დაიწყო დასავლეთმა ივანიშვილის მიმართ ცუდი საუბარი. ეს კი არ თქვა, არამედ თქვენ იმუშავეთ ცუდადო.

***— ანუ პრეზიდენტი შეეცადა, რომ დაეცვა ივანიშვილი?***

— ორი აზრი არ არის, რომ ასეა. პრაქტიკულად პრეზიდენტის სიტყვა მიმართული იყო იქითკენ, რომ ბიძინა ივანიშვილი გამოერიდებინა ცალკე და ეთქვა ღარიბაშვილ-კობახიძისთვის, რომ თქვენი ბრალია ეს ყველაფერიო. თითქოს ახლა სალომე ზურაბიშვილმა არ იცის, რომ მისი პატრონიც და კობახიძის და ღარიბაშვილის პატრონიც ამ ქვეყანაში, არის ერთადერთი ოლიგარქი და ის იღებს გადაწყვეტილებებს. ნიკა გვარამია უდროოდ დაიჭირესო. ჯერ ერთი, სიტყვა უდროოდ, ძალიან მომხვდა ყურში. რას ნიშნავს დროული და უდროოდ?! უკანონო დაკავება, შერჩევითი სამართლით, ნებისმიერ დროს უკანონოა და ასევე შერჩევითია. თუ უდროოა, მაშინ შენ გაქვს ხელთ ბერკეტი შეწყალებისა და შეიწყალე. გვარამიას შეწყალება ხომ შეეძლო?! არც ეგ არ გააკეთა! აი დღევანდელ აქციას რაც შეეხება, მათ ეშინიათ, რომ 20-ში ძალიან ბევრი ხალხი იქნება. ახლა უკრაინის დასაცავად გამოვედით და საქართველოს დასაცავად არ გამოვალთ?!

***— რა იყო ამ ორი აქციის მიზანი? საზოგადოების გახლეჩა?***

— რა თქმა უნდა, მიზანი იყო, რომ გაეხლიჩა, მაგრამ ვერ გაგვხლეჩს, ეს გამორიცხულია! ეს არარსებული თემაა, ეს არ გამოუვა. თუმცა ამის მცდელობა ჰქონდა. არ გამოუვა იმიტომ, რომ 20 ივნისი უკვე ტვინშია ჩაბეჭდილი, იმ დღის შემდეგ, როდესაც პატრიოტებმა დაიცვეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა. როდესაც საქართველოს პატრიოტებს თვალები დათხარეს და შემდეგ ეს თვალების დამთხრელი, ამ ხელისუფლებამ დააწინაურა. თავად გააკეთა განცხადება მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გახარიამ, რომ დიახ, ბრძანება მე გავეციო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც გამოაცხადეს, რომ ჩვენ არ მოვალთ 20-შიო. ბედნიერება ის არის, რომ კონსოლიდირება ხდება ამ დასავლური ვექტორის ძალებში. მოგვწონს ერთმანეთი თუ არ მოგვწონს, ახლა ამის დრო არ არის, ყველა უნდა დავდგეთ ერთად. როგორც „გავრილოვის ღამეს“ ამისტები და იმისტები ვიდექით, აი ისე, ერთად უნდა დავდგეთ ოცშიც.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ 20-ში ბევრი ხალხი მოვა?***

— რა თქმა უნდა, ასე იქნება. ჩვენ პრეზიდენტის დაანონსებულ აქციაზე არ მივსულვართ. მივალთ 20-ში. ჯერ ერთი, ძალიან არაკოლეგიალური იყო მისი მხრიდან. რამდენი ხანია დაანონსებულია 20 ივნისის აქცია და შენ გამოხვედი და გაიძახი, დღეს მოდითო. აბა ეს რას ემსახურებოდა?! ძალიან კარგად იცის ამ ქალბატონმა, რასაც აკეთებს. არ გეგონოთ, რომ მისი გამოსვლები გულუბრყვილო და მიამიტურია. მე არ ვეთანხმები მათ, ვინც აკნინებს პრეზიდენტის ინსტიტუციას, არ ვეთანხმები ჯალმაიძის განცხადებებს, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი თავად ყველაზე მეტად აკნინებს ამ ინსტიტუციას. კი ბატონო, ჯალმაიძე ძალიან არასწორად მოიქცა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი რომ აკნინებს, ასე ვერავინ ვერ დააკნინებს ამ ინსტიტუციას საქართველოში.

# „ევროკავშირის მხრიდან დიდი შეცდომა იქნება, თუ სტატუსს არ მოგვცემენ“

## ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ მივდივართ 20 ივნისის აქციაზე!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.**

***— ქალბატონო ნინო, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პროცესებთან დაკავშირებით? სრული ისტერიული ფონია ქვეყანაში, ვერ გაგვირკვევია, ვინ ვის აქციაზე მიდის და ვინ სად ატარებს აქციას. ამ ფონზე კი ჩრდილში გადაინაცვლა და გვავიწყდება მთავარი, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს? მაკრონი აცხადებს, რომ უკრაინას და მოლდოვას ვერ დავაშორებთ, აი საქართველოს კი სულ სხვა გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვსო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

— საერთოდ, მე დავეთანხმები თქვენს შეფასებას, რომ იმ პოლიტიკურ ჭიდილში, რომელიც არის ახლა ქვეყანაში, მივივიწყეთ ყველაზე მთავარი, რაც არის ქვეყნისთვის. ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის რეალური სუვერენიტეტი, რეალური სტაბილურობა და განვითარება და არა ის, რაზეც „ქართული ოცნება“ გველაპარაკება. ამ ერთმანეთთან კამათში, წლები ისე გადის, რომ ფაქტიურად „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა წინ, არც ერთი მიმართულებით და ამას ჩვენ რალაცნაირად ვეგუებით. რაც აბსოლუტურად დამღუპველია ქვეყნისათვის.

ახლა დავდექით პრაქტიკულად გზაგასაყარზე, როდესაც უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოს მისცა შანსი, რომ დაჩქარებული წესით მიეღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. თუმცა აღმოჩნდა, რომ საქართველო არც ამისთვის არ არის მზად.

***— საქართველო თუ მისი ხელისუფლება?***

— მართალია, ხელისუფლება არ არის მზად, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ქვეყანას ხელისუფლება წარმოადგენს. ის აბსოლუტურად არადიპლომატიური, ანტიდასავლური განცხადებები, მთელი მსოფლიოს ლანძღვა-გინება, რომელიც მოდის „ქართული ოცნებიდან“, არ შეიძლება, რომ იყოს ქვეყნისთვის ხელისშემწყობი. ამას მეტყველებს კიდეც ის განცხადებები, რომელიც საქართველოს მიმართ კეთდება.

***— რა მოლოდინი გაქვთ?***

— სამწუხაროდ, მე არა ვარ განსაკუთრებულად ოპტიმისტურად განწყობილი ევროკავშირის კანდიდატობის მიღებასთან დაკავშირებით. თუმცა ვერ დავეთანხმები ვერც ერთ შემთხვევაში ბატონ მაკრონს, რომ მხოლოდ უკრაინა და მოლდოვა უნდა იქნას ერთ კონტექსტში განხილული და არა საქართველო. იმიტომ, რომ იმსახურებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამ სტატუსს, ეს მეორე საკითხია, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, ასეთი გადაწყვეტილება იქნება უბრალოდ უსამართლო, არასწორი და საკმაოდ ცუდი გზავნილი როგორც რუსეთისთვის, ასევე, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობისათვის.

***— ვისმენთ შეფასებებს, რომ ევროკავშირის მხრიდან ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება როგორც ჩვენთან, ისე უკრაინასთან დაკავშირებით და თუ ეს ასეა, მაშინ რატომ უნდა დაგვაშორონ?***

— მე ვთვლი, რომ თუ დაგვაშორებენ, ეს იქნება დიდი შეცდომა ევროკავშირის მხრიდან. ამ შემთხვევაში, მე შემეძლება სამწუხარო პარალელი გავავლო, როდესაც 2008 წელს, ნატოს ბუქარესტის სამიტის წინ, ყველა დედაქალაქი მოვიარეთ მსოფლიოში და ვარწმუნებდით, რომ მაპი უნდა მოეცათ.

***— მაგრამ მოგვცეს „მაპზე უკეთესი“?***

— დიახ, მაპი არ მოგვცეს და მოგვცეს „მაპზე უკეთესი“. რასაც შემდეგ მოყვა მოვლენების ისე განვითარება, როგორიც მოყვა. თუმცა ბატონმა სტოლტენბერგმა ახლა განაცხადა, რამდენიმე დღის წინ, რომ ბუქარესტში, საქართველოსთვის მაპის არმიცემა იყო შეცდომა. ნამდვილად არ მინდა, რომ იგივე განმეორდეს და 10 წლის მერე გვითხრან, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის არმიცემა იყო შეცდომა.

***— თუკი არ მოგვცეს, ეს პირდაპირ ხომ არ გადაგვისვრის რუსეთის ხახაში?***

— არა, პირდაპირ არავინ არავის არ გადაისვრის. თუ ქვეყანა ნორმალურად იმოქმედებს, საზოგადოება აქტიური იქნება, პოლიტიკური პარტიები სწორად იმოქმედებენ და არ მისცემენ საშუალებას „ქართულ ოცნებას“, რომ ივანიშვილის ბოსტნად გადააქციოს ქვეყანა, არანაირი რუსეთის გავლენის ქვეშ და მის ორბიტაზე გადავარდნა, საქართველოს ასეთ შემთხვევაში არ ემუქრება.

***— თუმცა თუ ახლა არ მოგვცემენ კანდიდატის სტატუსს, ბევრს ვკარგავთ და ძალიან უკან ვიხევთ. ასე არ არის?***

— რა თქმა უნდა, ასეა. თუ არ მივიღებთ, ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი, ეს იქნება



**„პრეზიდენტს რომ თავის ფუნქციები ადეკვატურად შეესრულებინა, ძალიან ბევრი რამ სხვაგვარად იქნებოდა ქვეყანაში“**

გაშვებული შანსი და შესაძლებლობა, მაგრამ ეს არ არის იმისი საფუძველი, რომ ჩვენ თავზე ნაცარი წავიყაროთ და ვიგლოვოთ, რომ აი, უკვე საბჭოთა კავშირში აღმოვჩნდით. თუმცა ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი და სწორი პოლიტიკა წარსამართი იმისათვის, რომ მართლა ფარდის აქეთ არ აღმოვჩნდეთ. ამისთვის საჭიროა, პირველ რიგში, ოპოზიცია იყოს ერთიანი, კოორდინირებული და საზოგადოებამ და ოპოზიციამ უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ დროულად შეიცვალოს საქართველოს ხელისუფლება.

***— ქალბატონო ნინო, კანდიდატის სტატუსის განხილვას წინ უძღოდა საკმაოდ კრიტიკული რეზოლუცია. კრიტიკულები იყვნენ ბიძინა ივანიშვილის მიმართ, რომ ის არის ოლიგარქი, რუსეთთან დაახლოებული პირი და მას უნდა დაედოს სანქციები. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

— მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია კრიტიკული იყო და ჩემი აზრით, ძალიან ობიექტური, ამისდა მიუხედავად, რეზოლუცია იყო კეთილგანწყობილი საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

***— გამიჯნეს ერთმანეთისგან ხელისუფლება და მოსახლეობა?***

— რა თქმა უნდა. რეზოლუციაში პირდაპირ არის რეკომენდაცია გაწეული, რომ საქართველო იქნეს იმ ქვეყნებს შორის, რომელიც მიიღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. ამიტომ ამ შემთხვევაში რეზოლუცია ხელისშემშლელი ნამდვილად არ იქნება და მნიშვნელოვანია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელმძღვანელები.

***— ახლა ვხედავთ დაპირისპირებას პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. რას იტყვით სალომე ზურაბიშვილის განცხადებებზე, რომელმაც პრემიერს და მის კაბინეტს დააბრალა, რომ თქვენ ვერ იმუშავეთ კარგად და ყველაფერი ამის ბრალიაო.***

— რა გითხრათ, პრეზიდენტმა კარგად იმუშავა?! პრეზიდენტს რომ თავის ფუნქციები ადეკვატურად შეესრულებინა, ძალიან ბევრი რამ სხვაგვარად იქნებოდა ქვეყანაში. შეფასებებში მას დავეთანხმები, რაც მთავრობის მიმართ გააკეთა. ნამდვილად ხელისუფლების ბრალია ის, რაც ქვეყანაში ხდება, მაგრამ მისი მცდელობა, გაემიჯნა ივანიშვილი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ულამაზოდ გამოიყურება.

***— ცდილობს, ივანიშვილი გამიჯნოს ამ პროცესებისგან და გადაარჩინოსო, ასეთი შეფასებებიც მოვისმინე.***

— ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილის გადასარჩენი არაფერი არ ჭირს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ის შეეცადა, რომ ივანიშვილისთვის გაეგზავნა გზავნილი, რომ ის არ არის მისთვის პრობლემების შემქმნელი ადამიანი და პირიქით, შეიძლება იყოს ადამიანი, ვინც მას პრობლემებს მოუგვარებს. მე ვერ მივხვდი, მისი მხრიდან ახალი აქციის დაანონსება ერთი დღით ადრე, რას ემსახურებოდა. ასე ცალ-ცალკე აქცია, მხოლოდ კრიტიკული განცხადებები და ნაბიჯების არ გადადგმა, კარგს არაფერს არ მოიტანს.

***— თქვენ იყავით პრეზიდენტის დაანონსებულ აქციაზე?***

— ჩვენ მივდივართ 20 ივნისის აქციაზე. ჩვენი ოფიციალური განაცხადი ასეთია, რომ 20-ის აქციაში მივიღებთ მონაწილეობას.

***— მაინც რა მოლოდინი გაქვთ, გვექნება კანდიდატის სტატუსი?***

— რთულია წინასწარ შეფასებები, ეს მარჩიელობას უფრო ჰგავს, რადგან გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მინდა შევცდე, მაგრამ კარგი მოლოდინი არ მაქვს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილს ივანიშვილის დაცვა თუ უნდოდა, ბრიუსელში დაეცვა“

## სოსო ცინცაძე: „უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი, სჯობს იმოქმედოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო სოსო, ალბათ ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით კმაყოფილი არ არის ბიძინა ივანიშვილი. შეიძლება თუ არა გუნდის გამოცვლაზე ფიქრობდეს?***

— რასაკვირველია, ორი აზრი არ არის იმაში, რომ ივანიშვილი „ქართული ოცნების“ გუნდის მუშაობით კმაყოფილი იყოს. მას არგუმენტები არ აქვს შიდა პოლიტიკური პროცესების თუ საგარეო პოლიტიკის განხილვის დროს მისი გუნდის სასარგებლოდ. შიდა პოლიტიკური სტაბილურობა კითხვის ქვეშ დგას, მაგრამ გუნდის გამოცვლაც ასეთი მარტივი არ არის. ძალიან მოკლე სკამია – იტყვიან. ამ შემთხვევაში სკამი საერთოდ არ არის, გოგა ხაინდრავას ხომ არ მოიყვანს პრემიერად?! არ ვიცი. თუმცა, თუ დასჭირდა, შეუცვლელი არავინ არ არის.

რაც შეეხება საერთაშორისო პროცესებს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ არის ის, რომ მისი გვარი მოხვდა ისეთ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც არქივში იქნება დაცული და შეიძლება მის შთამომავლებსაც კი აუფრიალონ.

ევროკავშირის ოფიციალურ რეზოლუციაში ივანიშვილის გვარის მოხვედრა პირდაპირ სანქციის დადებას ნამდვილად არ ნიშნავს, მაგრამ რაც მოხდა, ეს ძალიან ცუდი იყო მისი ბიოგრაფიისთვის, რბილად რომ ვთქვათ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში მის გუნდს ლომის წილი მიუძღვის.

***— სალომე ზურაბიშვილმაც ღიად უთხრა, გუნდმა ვერ დაგიცვაო.***

— დიახ, ეს იყო პირდაპირ მადლიერების გამოხატვა ივანიშვილისადმი, რომ ის მისი მადლიერია და ეს დაუდასტურა. ხოლო რაც შეეხება სწორედ გუნდს, აქ მთლად ვერ არის საქმე კარგად. უკვე „ქართული ოცნების“ ლიდერებსა და პრეზიდენტს შორის დიდმა შავმა კატამ გაირბინა.



სალომე ზურაბიშვილს თუ ივანიშვილის დაცვა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაშინ უფრო უპრიანი იქნებოდა, იქ, ბრიუსელში, ევროპაში, ამერიკაში დაეცვა და არა თბილისში. საერთოდ არ

**„ოცნებამ“ მართლაც ხუთიანზე შეძლო საარჩევნოდ გაცემული დაპირებების დავიწყება და ხალხი სოციალური პრობლემებიდან პოლიტიკაზე მშვიდად გადართო“**

უნდა ეხსენებინა იმ ბრიფინგზე ბიძინა ივანიშვილი. ეს შეცდომა იყო.

***— თუ ერთგვარი სიგნალის ფუნქციას ასრულებდა ივანიშვილის ხსენება?***

— მაშინ, რა თქმა უნდა. ეს იყო მთავარი გზავნილი, რომ ის მზად არის ბოლომდე დაიცვას ივანიშვილი. უთხრა, მახსოვს, როგორ გავხდი პრეზიდენტი და ბოლომდე შენი მადლიერი ვარ.

კიდევ ერთი შეცდომა, რაც მან დაუშვა, ნიკა გვარამიას ხსენება იყო. ამ ხსენებით საკუთარი თავი კუთხეში მიამწყვდია. თუ გვარამიას დაკავება იმ მომენტში პოლიტიკას ვნებდა და, რასაკვირველია, ვნებს, მაშინ მის ხელთ არის ბერკეტი, რომ მთავრობის ეს შეცდომა გამოასწოროს. ამიტომ კუთხეში აქვს თავი მიყენებული თავადვე, თავისავე განცხადებით. ამიტომ, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება შეწყალებაა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მას მართლაც არ შეიწყალებს. – არა და არასოდეს! ეს ბოლომდე იმუშავებს.

***— რატომ?***

— მისი ხასიათიდან გამომდინარე. საგარეო საქმეთა მინისტრობიდან მოულოდნელი, ყოველგვარი ცერემონიალების, მადლობების გარეშე მოხსნა და სახლში გაშვება, როგორც ჩანს, დღემდე ვერ აპატია. ალბათ ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, საფრანგეთიდან ჩამოვიდა საქართველოში და მერე უცებ გაუშვეს.

***— გვარამია შეიძლება შეიწყალოს?***

— არ გამოვრიცხავ. მან უკვე უხერხულ მდგომარეობაში დააყენა საკუთარი თავი. თუ შეცდომაა, ბერკეტი შენ გაქვს, როგორც უმაღლეს ხელისუფალს და გამოასწორე. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და გაწონასწორება კონსტიტუციით სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს. ერთი თუ შეცდომას ჩაიდენს, მეორემ უნდა გამოასწოროს, ეს არის ბალანსის პრინციპი, ეს ძალიან მარტივია. ამიტომ, მისი დასავლელი კოლეგები ბრიუსელში ვერ გაუგებენ თუ არ გადადგამს იმ ნაბიჯს, რაც უკვე კონსტიტუციით ევალება. ვერ გაიგებს თუნდაც შარლ მიშელი მის უმოქმედობას. ამიტომ, ჯობია იმოქმედოს.

დღეს სალომე ზურაბიშვილი მარტოა. მას არ ჰყავს არც ერთი მოკავშირე. ერთადერთი მოკავშირე დასავლეთია. ამიტომ, დიდი დრო არ აქვს, ახლავე უნდა იმოქმედოს, თუ უნდა ეს ურთიერთობები შეინარჩუნოს. რაც შეეხება შიგნით, „ქართული ოცნების“ კეთილგანწყობა დაკარგული აქვს. ოპოზიციაზე აღარაფერს ვამბობ. რაც შეეხება მესამე სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი ვერ გაიხადა მოკავშირეებად, ეს ძალიან ცუდია.

***— ბიძინა ივანიშვილს რომ დავუბრუნდეთ, ელოდებით პოლიტიკაში რაიმე ფორმით მობრუნებას?***

— არა, ეს მართლაც გამორიცხულია. უკვე აზრი არ აქვს. არავითარი ეფექტი არ ექნება. ხალხი მისგან სიკეთეს ელოდა და არა იმ კატასტროფულ ინფლაციას, ფასების ზრდას, რაც მოხდა. „ოცნებამ“ მართლაც ხუთიანზე შეძლო საარჩევნოდ გაცემული დაპირებების დავიწყება და ხალხი სოციალური პრობლემებიდან პოლიტიკაზე მშვიდად გადართო.

# ანა ნაცვლიშვილი: „მთავარია, რომ მოქალაქეები ერთ აქციაზე მაინც აუცილებლად მოვიდნენ“



მთავარია, რომ მოქალაქეები ერთ აქციაზე მაინც აუცილებლად მოვიდნენ, გასაგებია, რომ გაერთიანება ძალიან ჭირს ამ ქვეყანაში, რომ ყველას თავის თავი ჰგონია ყველაზე მეტად ევროპული, მაგრამ ამ ვითარებაში ჩვენ ვიქნებით ყველგან, სადაც იქნება საქართველოს და ევროკავშირის დროშები.

ამის შესახებ „ლელოს“ დეპუტატმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, აქციების თარიღები არ არის დღეს პირველხარისხოვანი საკითხი, მთავარი საკითხია, რა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ როცა კომისია იმსჯელებს და 24 ივნისს, როცა საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, მას ჰქონდეს საქართველოსთვის მაქსიმალურად დადებითი შედეგი.

— ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც დღის წესრიგიდან არ უნდა ჩამოვიდეს და ვერ ჩამოვა ვერც ორი, ვერც სამი აქციით. აქცია არის ერთ-ერთი საშუალება, რომ მოქალაქეებმა თავის პოზიცია დააფიქსირონ და ერთიანობა ვაჩვენოთ ამ საკითხის ირგვლივ. „ამის გვერდით არ დავდგები, იმის გვერდით არ დავდგები“— ამან რა ვითარებამდე მიიყვანა ქვეყანა, ვხედავთ, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ნიკა მელიას, რომ 16 ივნისის შეკრებას აზრი არ აქვს, ნაცვლიშვილი ამბობს, რომ არც მას ეთანხმება და არც სხვა იმ ადამიანებს, ვისაც მიაჩნია, რომ მხოლოდ 20 ივნისს არის შეკრება სწორი.

— ყველგან სწორია შეკრება, სადაც იქნება საქართველოს და ევროკავშირის დროშები. ვინ რამდენად გულწრფელია და ვინ როგორ მოქმედებს, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ არ უნდა შევატოვოთ ვინმე ერთს ევროპული დროშა, რადგან ეს არ არის არც ხელისუფლების კუთვნილება, მათ შორის, არც პრეზიდენტის ექსკლუზივი და არც ოპოზიციის, ეს არის ქართველო ხალხის არჩევანი, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

# გიორგი ვაშაძე: „კობახიძე გამოვიდა და 12-გზის მოიტყუა“



კობახიძე გუშინ გამოვიდა და 12-გზის მოიტყუა — ღმერთი ნუ გაგიწყრებათ, ამ უზარმაზარ შესაძლებლობას არ აგვაცდინოთ.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მავნებლური ქმედებებიდან გამომდინარე დიდი საფრთხეა, რომ საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ასცდეს და რეალური გახდა საფრთხე, რომ „საქართველო უკრაინას და მოლდოვას დაშორდეს“.

— კობახიძე გუშინ გამოვიდა და 12-გზის მოიტყუა, იცრუა, იმის ნაცვლად, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა, რათა ევროპელმა პარტნიორებმა დაინახონ, რომ საქართველოს მთავრობა გონს მოეგო. ეს არის შეთქმულება საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. თუ ისე მოხდა, რომ უკრაინას და მოლდოვას ავცდით, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ დანაშაული ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

მეგობრებო, ყველა შეკრებაზე ძალიან ბევრი უნდა ვიყოთ. რაც შეიძლება ხმამაღლა მთელ ევროპას უნდა გავაგონოთ ხმა, რომ ევროინტეგრაციას ვიმსახურებთ და ასევე — რაც შეიძლება ხმამაღლა, „ქართულ ოცნებას“ უნდა შევაგნებინოთ, რომ ისინი ევროპული ინტეგრაციის გზას ვერ აგვაცდენენ. ღმერთი ნუ გაგიწყრებათ და ამ უზარმაზარ შესაძლებლობას, რაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს, არ აგვაცდინოთ.

ვეუბნები კობახიძეს, ღარიბაშვილს, ივანიშვილს, „ქართული ოცნების“ თითოეულ ლიდერს თუ არა ლიდერს — თქვენ ხალხის ძალიან დიდ რისხვას ვერ ასცდებით, საშინელი გეოპოლიტიკური კოლაფსი იქნება, რაც შეიძლება ჩვენს ქვეყანას დაემართოს, თუ უკრაინას და მოლდოვას მოგვაშორებენ, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

რაც შეეხება 16 და 20 ივნისს დაგეგმილ აქციებს, ვაშაძე ამბობს, რომ ევროკავშირის საბოლოო გადაწყვეტილება 24 ივნისს იქნება და მანამდე, საზოგადოება, რაც შეიძლება მეტ აქციაზე უნდა შეიკრიბოს.

# დამოუკიდებელი ექსპერტი მედოვარი: „რუსეთში პუტინის ძაღლიც შეიძლება გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი“

## პუტინის მემკვიდრედ პატრუშევი განიხილება?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, რომელთა ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს, ევროკავშირის სტატუსის მოლოდინში არიან, ომი უკრაინაში კრიტიკულ სტადიაშია.

ამ სიტუაციაში აგრესორ ქვეყანაში არაოფიციალურ დონეზე მიდის მსჯელობა პუტინის ჯანმრთელობაზე, მის მომავალზე, პრეზიდენტის შესაძლო მემკვიდრეებზე. ამ საკითხზე უკრაინულ მედიას ესაუბრა დამოუკიდებელი რუსი ექსპერტი იური მედოვარი. „ახალი თაობა“ გთავაზობთ ამ ინტერვიუს.



***— ერთ-ერთ ტელეგრამ-არხზე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს წლის ბოლომდე რუსეთში შეიცვლება ხელისუფლება, რომ პუტინის პარტია „ედინაია როსიას“ ლიდერი ხდება პუტინის შვილი ეკატერინა ტიხონოვა, პუტინის მემკვიდრედ კი განიხილება პატრუშევი. საუბარია იმაზეც, რომ თავად პუტინი შეიძლება გახდეს სახელმწიფო საბჭოს მეთაური. ასეთი რამ შესაძლებელია?***

— ფაქტობრივად, ეს ისაა, რაზეც ვსაუბრობდი მაშინ, როცა რუსეთში ცვლიდნენ კონსტიტუციას. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ახალ რედაქციაში შევიდა პუნქტი ე. წ. სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ. ეს დაახლოებით ჩინური სისტემაა. ჩინეთში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე უვადოდ ინიშნება. მას ვერავინ მოხსნის. პრეზიდენტიც შეიძლება იყოს, რომელიც შეხვედრებზე დაფრინავს, ქვეყანას კი დე ფაქტო მართავს სახელმწიფო საბჭო, მისი თავმჯდომარე. თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭო. ხალხი ამაში არ მონაწილეობს. რუსეთში არჩევნები 2008 წლიდან არ ყოფილა. სახელმწიფო საბჭოს შემთხვევაში არჩევანი საერთოდ არ იარსებებს. ვისი გამარჯვებაც უნდათ, იმას გაამარჯვებინებენ. ჩვენთან ნებისმიერი სცენარი შესაძლებელია. ვფიქრობ, რომ პუტინი პატრუშევზე უკეთესია.

***— ტიხონოვაზე რას იტყვით?***

— ტიხონოვას ჩაწერაც შეუძლიათ. ის გახდა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამის შემდეგ ამ უნივერსიტეტმა თავისი სახელი და სახე დაკარგა. არ მესმის, როგორ შეიძლება ფიზიკა-მათემატიკის ურთულეს მეცნიერებათა კანდიდატი გახდეს ადამიანი, რომელიც როკ-ენ-როლს ცეკვავს. ასე, განსვენებული ჟირინოვსკიც იყო ფილოსოფიის დოქტორი.

***— სადოქტორო დისერტაცია ერთია, პრეზიდენტობის კანდიდატობა — სხვა. შესაძლებელია, რომ იგი (პუტინის შვილი ტიხონოვა) წარმოდგენილი იქნება პუტინის მემკვიდრედ? რა ეფექტს მოახდენს ეს რუსეთის რიგით მცხოვრებზე?***

— რომელი ეფექტი?! ჩვენ პუტინიზმში ვცხოვრობთ. აქ პუტინის ძაღლიც კი შეიძლება გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი. ჩვენთან არჩევნები არ არსებობს.

***— ეს გასაგებია. ამაზე სამზარეულოში თუ ილაპარაკებენ?***

— სამზარეულოში იყვირებენ, რომ აღორძინდა მონარქია. თუ ასეა, გვყავს დევნილი სამეფო კარი. ამ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი უფლებების წამოყენება, ვინაიდან ისინი სამეფო გვირგვინის მემკვიდრეები არიან. მაინც ვფიქრობ, რომ ტიხონოვას წამოყენება რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატად აბსოლუტურად არარეალურია. ეს არის საუბრები მოსახლეობის ყურადღების გადასატანად „სპეცოპერაციიდან“. ხალხმა ომში დანაკარგის მაგივრად უნდა ილაპარაკოს იმაზე, რომ პუტინი ავადაა. ახლა ამ ჭორებს დაატრიალებენ, რათა დაძაბულობის ელემენტი მოხსნან. ეს „სპეცოპერაცია“ უკრაინაში დაპირებული სამი დღის ნაცვლად მეოთხე თვეა გრძელდება.

***— „სპეცოპერცია“ არ იწვევს დაძაბულობას?***

— ახალგაზრდობა ამის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამს, შემდეგ — სპეცმიმღებში ხვდება. ამ ადამიანებს უნდათ იცხოვრონ ნორმალურ ქვეყანაში, თეთრს თეთრი დაარქვან, შავს — შავი. „სპეცოპერაციას“, რომელიც „მკაცრად გეგმის მიხედვით“ მეოთხე თვეა მიმდინარეობს, სხვა სახელი ჰქვია. ყველა სახელმწიფოში არის მოსახლეობის დაახლოებით 5%, რომელსაც აზროვნების უნარი არა აქვს, რომელსაც სჯერა ყველაფრისა, რასაც „ზომბოყუთი“ გადმოსცემს. ასეთებთან საუბარს აზრი არა აქვს.

***— თქვით, რომ პატრუშევი პუტინზე უარესია. შეგიძლიათ, განმარტოთ?***

— ის ხომ „კომიტეტიდანაა“. ვფიქრობ, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პუტინს „სპეცოპერაციისკენ“ უბიძგა. ნარიშკინი ცახცახებდა და ეროვნული უშიშროების საბჭოში ხმა ვერ ამოიღო. ნარიშკინს სახეზე ინტელექტი აწერია, პატრუშევს სულ სხვა სახე აქვს. მას სახეზე სხვა რამე აწერია.

***— შოიგუ ჩამოგდებული მფრინავია?***

— ვინ და როდის განიხილავდა შოიგუს პრეზიდენტად? ეს არასერიოზულია. სტალინის შემდეგ ეროვნული უმცირესობების მოსვლა ქვეყნის ხელმძღვანელებად ნაკლებად სავარაუდოა. მათ ხელისუფლებაში არ მიუშვებენ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მრავალეროვნული სახელმწიფოა და თითქოს ყველას თანაბარი უფლებები აქვს.

***— ყურადღების გადატანის გარდა, ამ საკითხების წამოწევის მიზეზი პუტინის რეალური ავადმყოფობაც ხომ არ არის?***

— პუტინი უკვე 70 წლისაა. ამ ასაკში ჯანმრთელი ადამიანები არსებობენ?! — არა. მას აქვს კვება, მედიცინა, მაგრამ ყველა ორგანიზმს აქვს ზღვარი. პუტინი შეიძლება იყოს ავად.

***— დადის ხმები, რომ მას მომაკვდინებელი დაავადება სჭირს.***

— ეს პირობითი ცნებაა. ვიცი მაგალითი, როცა კაცმა თირკმლების გარეშე შვიდი წელიწადი იცოცხლა. სხვა კაცი კი, რომელიც გაცივდა, ორ დღეში გარდაიცვალა.

***— პუტინს შეუძლია დიდხანს იცოცხლოს?***

— რასაკვირველია, შეუძლია.

# „პრეზიდენტმა ხელისუფლების მიმართ ნაჩქარევი შეფასებები გააკეთა“

## დათო ლორთქიფანიძე: „სირცხვილია“ 20-ში პრეზიდენტს მათ აქციაზე იწვევს. ვფიქრობ, ეს უკვე მათი შიდა თემებია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.



***– ბატონო დათო, პრეზიდენტის განცხადება როგორ მოგეწონათ? ხელისუფლებამ არ იმუშავა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისთვისო?***

– პრეზიდენტის განცხადება ცოტა ნაჩქარევი იყო. კარგად გააზრებული არ გახლდათ. ბევრი საკითხი დააყენა. ისაუბრა ხელისუფლების მუშაობაზე, ყველას მოუწოდა, ევროპისთვის ბრძოლაში გავერთიანდეთო, ოპოზიციას დესტრუქციაში დასდო ბრალი. მოგვიწოდა, 16 ივნისს აქციაზე ერთად დავდგეთო.

აქციები ასე სპონტანურად ვერ იგეგმება. ალბათ, მას ის აქცია ახსოვს, მის ერთ დაძახებაზე ათიათასობით ადამიანი რომ შეიკრიბა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ.

***– იპოდრომზე?***

– დიახ. ახლა აბსოლუტურად განსხვავებული დროა. მაშინ საზოგადოების განწყობა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ აბსოლუტურად ნეგატიური იყო. საზოგადოება მიზეზს ეძებდა ქუჩაში გამოსასვლელად და პროტესტის გამოსათქმელად. დღეს საზოგადოებაში ასეთი განწყობები არ არის.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, მით უმეტეს, რაც პოლიტიკაში ვარ, ყველაფერი გავაკეთე ჩვენი ევრო-ატლანტიკური მიმართულების მხარდაჭერისთვის. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, აქტიურად ვიყავი ჩართული პროცესში, ასევე იყო თავისუფალი ვაჭრობის გადაწყვეტილების, ვიზალიბერალიზაციის დროს, რაც ჩვენი ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა.

აქედან გამომდინარე, ევროპისკენ სვლის აქციას რომ მხარს დავუჭერ, ამაში ორი აზრი არ არსებობს. არ მინდა შევაფასო 20 ივნისის აქცია, რომელიც დაანონსებული აქვს ე.წ. „სირცხვილიას“ და თითქოსდა ახალგაზრდა აქტივისტების მიერაა ორგანიზებული. ვერ ვხვდები, რატომ მალავენ, რომ 20 ივნისის აქციას ნაცმოძრაობა აორგანიზებს. „სირცხვილია“ თუ სხვა ორგანიზაციები, მათია – ზოგი ახალგაზრდული ფრთაა, ზოგი – ძველგაზრდული, მაგრამ ერთნი არიან.

„სირცხვილია“ 20-ში პრეზიდენტს მათ აქციაზე იწვევს. ვფიქრობ, ეს უკვე მათი შიდა თემებია, ამიტომ ვერ და არ ჩავერევი.

***– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხელისუფლებამ არ იმუშავა, ევროპარლამენტარები, ევროპის ინსტიტუტები გაანაწყენა და კიდევ იმუქრებაო. მუქარის მაგალითად პრემიერის ნათქვამი მოიყვანა, თუ არ მოგვცემენ სტატუსს, ყველაფერს ფარდას ავხდითო. ამაზე რას იტყვით?***

– მან ხელისუფლებასთან დაკავშირებით ძალიან ნაჩქარევი და არასწორი შეფასებები გააკეთა, რაც დიდწილად ჩვენი არაკეთილმოსურნე პოლიტიკოსების განცხადებების მხარდაჭერას ჰგავს. ის, რაც ევროპარლამენტის რეზოლუციით გახმოვანდა, მათ შორის, ბოლო წუთებში რეზოლუციაში ბიძინა ივანიშვილის ე.წ. დასანქცირების თემა, ყველამ ვიცით, ვინ გააკეთა.

***– ვინ გააკეთა?***

– ევროპის სახალხო პარტია, ფრაქცია „განაახლე ევროპა“ და ევროპელი კონსერვატორების ფრაქცია „კონსერვატორები და რეფორმატორები“ ჩვენი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურადაა განწყობილი. ისინი ევროპარლამენტში ადგილების უმრავლესობას ფლობენ. ეს მათი ნამოქმედარია. დასამალი არ არის, რომ ევროპის სახალხო პარტია იგივე ნაცმოძრაობაა. ნაცმოძრაობა ევროპის სახალხო პარტიის შვილობილი პარტიაა, რომელიც ევროპის სახალხო პარტიაშია გაწევრიანებული.

***– კი მაგრამ, არ შეიძლებოდა, ვთქვათ, ხელისუფლება ევროპის სახალხო პარტიის მესვეურებს დალაპარაკებოდა?***

– რა თქმა უნდა, დალაპარაკება შეიძლებოდა.

***– მათთან დალაპარაკება სცადეს?***

– ჩემთვის უცხო არ არის უცხოეთში დელეგაციაში ყოფნა. ჩვეულებრივი პოლიტიკური რუტინაა. ხელისუფლების წარმომადგენლებს მათთან საუბრები ექნებოდათ. არ ვიცი, კონკრეტულად, ვინ ვის დაელაპარაკა, მაგრამ მცდელობა ექნებოდათ. თუმცა, იმდენად დიდია ნაცმოძრაობისა და მისი პატრონი პარტიების მხრიდან ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი, რომ არა მგონია, მათ ვინმეს მოსაზრება გაითვალისწინონ. აქ ორი აზრი არ არსებობს.

აქ მთავარი ისაა, რომ ევროპარლამენტის დადგენილება საბოლოო დოკუმენტი არ არის. საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებასთან დაკავშირებით მთავარი და გადამწყვეტი მაინც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერების პოზიციაა. როგორია მათი პოზიცია, 17 ივნისს გამოჩნდება, როდესაც ევროკომისიის შუალედური დასკვნა იქნება და შემდეგ განსახილველად ევროკავშირს გადაეგზავნება. საბოლოოდ, 9 დღეში გადაწყვეტილებას გავიგებთ.

***– ევროპარლამენტის რეზოლუციაში ივანიშვილის მოხვედრას და მის მიმართ სანქციების მოთხოვნას, პრეზიდენტი ასევე ხელისუფლებას აბრალებს. ხელისუფლებამ ევროპარლამენტის პარტიებთან არ იმუშავაო.***

– ბიძინა ივანიშვილის მოხვედრა ევროპარლამენტის რეზოლუციაში იყო და არის საქართველოში ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის იდეაფიქსი. ბიძინა ივანიშვილი 2014-16 წლებში რომ მოხვედრილიყო ევროპარლამენტის რომელიმე რეზოლუციაში, არ გამიკვირდებოდა, რადგან მაშინ პრემიერ-მინისტრი და პარტიის ლიდერი გახლდათ.

დღეს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ თანამდებობებზე არ არის, არც პარტიის ლიდერია. ამიტომ დღეს უკანა ვადით მასზე საუბარი, სწორი გადაწყვეტილება არ არის. თუმცა, ეს მათი ნება-სურვილი იყო. მათ დღეს ევროპარლამენტში ინსტიტუციონალური ძალაუფლება აქვთ და გამოიყენეს კიდეც.

ევროპარლამენტის რეზოლუციის წინააღმდეგი 218 ევროპარლამენტარი იყო, ანუ ისინი საქართველოს მხარეს დადგნენ. ევროპარლამენტში 736 დეპუტატია. რეალურად, რეგისტრაცია გაიარა მხოლოდ 566-მა, ანუ 170-მა ევროპარლამენტარმა მონაწილეობა არ მიიღო. საქართველოს პარლამენტში მიგვიღია საკონსტიტუციო თუ ორგანული კანონები, როდესაც აუცილებელია ძალიან მაღალი ქვორუმი. ასეთ შემთხვევებში მმართველი პოლიტიკური ძალა დეპუტატების მობილიზებას ახდენს.

ევროპარლამენტში ევროპარლამენტარების მობილიზების რესურსი საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს. მთავარია, ჩვენ რაში გვედავებიან. რაშიც გვედავებიან, ზუსტი და სწორი არ არის. რეზოლუციაში ბევრი უზუსტობაა. იგივე, თითქოს მიხეილ სააკაშვილი კერძო კლინიკაში არ გადაჰყავთო.

> **„მოლდოვაში ახლა ყოფილი პრეზიდენტი დოდონი დაიჭირეს. ევროკავშირში ჩვენ სააკაშვილის დაპატიმრებას მინუსში გვითვლიან, მოლდოვას კი დოდონის დაპატიმრებას პლუსში უთვლიან“**

***– ხომ არ იცით, პრემიერმა ფარდა რას უნდა ახადოს, რომელი განცხადებისთვისაც პრეზიდენტმა გააკრიტიკა?***

– ალბათ, ხელისუფალს ბევრად მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე პოლიტიკოსს (ამ შემთხვევაში ჩემ თავზე ვსაუბრობ), ამიტომ არ გამოვრიცხავ, საუბარი იყოს იმ დესტრუქციაზე, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ოპონენტები ეწეოდნენ, ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ამიტომ რელევანტური არ იქნება, წინასწარ ამაზე აქცენტის გაკეთება.

ამიტომ ხელისუფლება და პირადად მეც იმედს ვიტოვებთ, რომ ევროპა ჩვენთვის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას მხარს დაუჭერს. ჩვენ ყველაფერი კონსტიტუციაში გვაქვს გაცხადებული, სადაც პირდაპირ გვიწერია, რომ ქართულ სახელმწიფოში ყველა სახელისუფლებო სტრუქტურა ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს საქართველოს ევროპასთან და ევრო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისთვის.

***– განაწყენებულმა პრეზიდენტმა ბრიუსელიდან ტელევიზიებით განაცხადა, რომ ხელისუფლებამ გარკვეულ ქვეყნებში ვიზიტებზე უარი უთხრა. ევროკავშირის ქვეყნებთან მუშაობაზე პრეზიდენტს რატომ უთხრეს უარი? რომელ ქვეყანაშიც უნდოდა, ევლო და როგორც იტალიელები დაითანხმა მხარდაჭერაზე, ისე დაეთანხმებინა სხვებიც.***

– კანონმდებლობით პრეზიდენტი საგარეო კურსის განმსაზღვრელი არ არის.

***– მესმის, მაგრამ ახლა ხომ ფროსმაჟორული სიტუაციაა.***

– მე ერთ გამართლებას ვუძებნი – პოლიტიკაში არის თემები, რომელიც საჯაროდ არ გამოდის. არასაჯარო განხილვებია. არ გამოვრიცხავ, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს –პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს (ოფიციალური ვიზიტები არ არის აუცილებელი, ამისთვის სატელეფონო საუბრებიც საკმარისია) გარკვეული საკითხები მოთელილი ჰქონდათ და ჩაითვალა, რომ აუცილებელი არ იყო პრეზიდენტი ამ თემებს განმეორებით მიბრუნებოდა.

პროტოკოლს იქით რა ითქმება, ამას სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ალბათ, ამიტომ არ ჩაითვალა საჭიროდ სხვადასხვა ქვეყნებში პრეზიდენტის ვიზიტები, თორემ, დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის მივლინებაში „ენ“ რაოდენობით მეტი ლარი დაიხარჯებოდა თუ უფრო ნაკლები, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. ალბათ, პრეზიდენტის ვიზიტების შეწყვეტის გადაწყვეტილება თანხის გამო არ მიუღიათ.

***– პოლიტიკური შეუთავსებლობა ხომ არ იყო?***

– ალბათ, პოლიტიკურად მიზანშეუწონლად ჩაითვალა და ამ შემთხვევაში კანონი არ დარღვეულა. პრეზიდენტმა თქვა, რომ მას წერილობით არ მიუმართავს მთავრობისთვის, ზეპირსიტყვიერი საუბარი იყოო.

***– როდესაც მთავრობა და პრეზიდენტი შეთანხმებულად მოქმედებენ, წერილობითი მიმართვა ყოველთვის საჭირო არც არის. მით უმეტეს, როდესაც პრეზიდენტი „ოცნების“ მხარდაჭერითაა არჩეული. ამბობთ, მისი განცხადებები კარგად ნაფიქრი არ არისო. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე საკითხებიდან ისეთი მაგალითები მოიყვანა, შეუძლებელია, ნაფიქრი არ ჰქონოდა. არ მეთანხმებით?***

– შეიძლება ნაფიქრი ჰქონოდა, მაგრამ რელევანტური დრო არ იყო შერჩეული. მაშინ, როდესაც ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღებამდე 10 დღეა დარჩენილი და შენ იმ გუნდის წინააღმდეგ მიდიხარ, რომლის დახმარებით საქართველოს პრეზიდენტად აგირჩიეს, ეს რას ნიშნავს? დამერწმუნეთ, სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტობას სიზმარშიც ვერ ნახავდა. აქ ხელისუფლების როლი უპირველესი იყო.

***– ამიტომ შეცვალა პირვანდელი განცხადება, სადაც თქვა, რომ ევროკავშირის საპირწონედ არც სააკაშვილი ღირს, არც გვარამია და არც ივანიშვილიო?***

– მან სააკაშვილი, გვარამია და ივანიშვილი ერთ სივრცეში დააყენა. წარმოუდგენელი ამბავია.

***– ბოლო განცხადებაში თქვა, ივანიშვილი, სააკაშვილი და გვარამია ერთ სივრცეში არ დამიყენებია, ხელისუფლებამ არ იმუშავაო.***

– როგორ არ დაუყენებია. მთავარია, რას იტყვი. მერე ნათქვამის მანიპულირება იოლია. როგორ არ დაუყენებია, სამივე ჩამოთვალა, სააკაშვილი, გვარამია და ივანიშვილი. სააკაშვილი და ივანიშვილი პოლიტიკოსები მაინც არიან, ხელისუფლებაში იყვნენ და გარკვეული წლების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას წარმოადგენდნენ. გვარამია, საერთოდ, რა შუაშია.

***– გვარამიას მედიას უკავშირებენ.***

– ქალბატონ სალომეს უფლება აქვს თავისი აზრი ჰქონდეს, რომელიც მან გუშინ გააჟღერა.

***– ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო?***

– დეკლარირებულად და გაცხადებულად ყველა ევროპულ თუ ატლანტიკურ სტრუქტურებში ვიზიტები მოეწყო და განცხადებები გაკეთდა. მხარდაჭერა მხოლოდ ახლანდელ ვიზიტებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ხელისუფლების ათწლიან საქმიანობაზე, სამშვიდობო მისიებში მონაწილეობაზე, ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით ჩატარებულ სამუშაოებზე. ხელისუფლებამ ყველა მიმართულებით მაქსიმუმი გააკეთა. შეიძლება ხარვეზები არის, მაგრამ ხარვეზები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცხოვრებაშიცაა, ალბათ. იდეალური ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

ჩვენ ახალი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ქვეყანა ვართ. 100%-იანი გარანტია, რომ ყველაფერი მოთხოვნის თანახმად შესრულდა, ვერ იქნება, მაგრამ ყველაფერი ფარდობითია. საქართველო ყველა პარამეტრით უკრაინასა და მოლდოვაზე წინაა. უკრაინაში ომია და ამან განაპირობა დაჩქარებული პროცედურა.

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. მოლდოვა დსთ-დან არ გამოდის, როგორ შეიძლება ჩვენთან ტოლობის ნიშანი დაისვას წევრობის კანდიდატობასთან დაკავშირებით. მოლდოვაში ახლა ყოფილი პრეზიდენტი დოდონი დაიჭირეს. ჩვენ სააკაშვილის დაპატიმრებას მინუსში გვითვლიან, მოლდოვას კი დოდონის დაპატიმრებას პლუსში უთვლიან. ველარ გავიგე, რა ხდება.

# ნათია მეზვრიშვილი: „ოცნების“ ელექტორალური რღვევა დაწყებულია“

ახლა არ არის იმის დრო, თუ ვინ რომელ აქციაზე მივა. რა დროს „ქუდზე კაცია“ დარჩენილ 24 საათში? ეს ვერ მოახდენს გადამწყვეტ გავლენას გადაწყვეტილებაზე.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ნათია მეზვრიშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „ნიუსრუმში“ განაცხადა.

როგორც მეზვრიშვილმა ასევე აღნიშნა, მისი პარტიის ამომრჩევლები და მხარდამჭერები დამოუკიდებლად მიიღებენ გადაწყვეტილებას, მივიდნენ თუ არა ევროინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერ აქციებზე.

– აქციაზე წასვლასთან დაკავშირებით ჩვენი ამომრჩევლები როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს სრულად მათი უფლებაა და ჩვენ ამაში არ ვერევით. ვისაც სურვილი აქვს, მივა 16-ის აქციაზე და ვისაც სურს, მივა 20-ის აქციაზე.

ჩვენ მკაფიოდ ვთქვით ერთი რამ – როდესაც დარჩენილია 1 დღე კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, აქცია არ არის ის, რაც უნდა ყოფილიყო შემოთავაზებული პრეზიდენტის მხრიდან, როგორც აუცილებელი წინაპირობა კანდიდატის სტატუსის მიღების.

„ხმა უნდა გავაგონოთ ევროპასო“ – ევროპამ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ხმა უკვე არაერთხელ გაიგო, მათ შორის მაშინ, როდესაც უკრაინაში დაიწყო ომი და საქართველოს მოქალაქეებს ძალიან მკაფიო და მტკიცე პასუხი ჰქონდათ ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და განცხადებებზე.

ჩვენ საქართველოს მოქალაქეების ეს ერთობა უკვე ვიხილეთ რუსთაველის გამზირზე. საქართველოს მოქალაქეებმა ევროპას უკვე არაერთხელ დაუმტკიცეს, რომ ევროპა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი, – აღნიშნა მეზვრიშვილმა.



მისივე მტკიცებით, ის აღნიშნული აქციების მნიშვნელობას არ აკნინებს.

– მე არ ვაკნინებ აქციის მნიშვნელობას მოქალაქეებისთვის, რათა ამ ადამიანებმა თავისი სამოქალაქო პოზიცია იქ დააფიქსირონ. მიდიან კიდეც, ჩვენს ამომრჩევლებს აბსოლუტური თავისუფლება აქვთ. არ ვიცი, როგორი იქნება ხვალინდელი გადაწყვეტილება. ფაქტი არის ის, რომ „ოცნებამ“ არაფერი გააკეთა – უფრო მეტიც, ამ ხალხმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენ მეგობარი, მოკავშირე და პარტნიორი არ დაგვრჩენოდა. ჩვენთან არავინ ჩამოდის, ესეც ხომ „ოცნების“ პოლიტიკის შედეგია?

მაკრონი ჩადის მოლდოვაში, მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრი პოპესკუ დადის ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორეში – ვხედავთ, როგორი მაღალი წარმომადგენლობის ვიზიტებია მოლდოვასა და უკრაინაში, არადა „ასოცირებულ ტრიოში“ საქართველო იყო ლიდერი.

დღეს ღარიბაშვილი და კობახიძე რომ გამოდიან და ამბობენ, რომ ყველა პარამეტრით ვუსწრებთ უკრაინას და მოლდოვას, ეს არის ტყუილი – ვუსწრებდით. დღეს „ოცნების წყალობით“ არა თუ ვუსწრებდით, მაჩანჩალა ქვეყნად აქციეს საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე და მოჭრეს თავი აბსოლუტურად ყველა პლატფორმაზე.

ახლა არ არის იმაზე საუბრის დრო, თუ ვინ რომელ აქციაზე მივა და ამაზე ყურადღების გადატანა დარჩენილ 24 საათში, რა დროს „ქუდზე კაცია“? ეს ვერ მოახდენს გადამწყვეტ გავლენას გადაწყვეტილებაზე. ჯერ კიდევ შანსი, რომ რალაც შევინარჩუნოთ და გადავარჩინოთ ევროპული პერსპექტივა, ამაზე გავლენას მოახდენს, თუ გამოვა საქართველოს ხელისუფლება, აღიარებს ამ პრობლემებს, რაც არის და იტყვის, რომ მზად არის გაატაროს ის დემოკრატიული რეფორმები, რომელსაც ევროკავშირი ითხოვს. ჩვენ ახლა ამაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებული, – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

მან ასევე ისაუბრა ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზეც, რომელშიც აღნიშნული ევროპული ინსტიტუტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების ამოქმედებას მოითხოვს.

– რამდენიც არ უნდა ეცადოს „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ დააბრალონ ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილის სახელისა და გვარის ამ რეზოლუციაში მოხვედრა, იქ შავით თეთრზე წერია – „რუსეთთან კავშირების მქონე ერთადერთი ოლიგარქი“, ეს იქ ჩაიწერა და ველარ ამოიშლება. ეს არის ფაქტი და ამით „ოცნების“ ელექტორალური რღვევა არის დაწყებული, – აღნიშნა მეზვრიშვილმა.

# შეიწყალეთ ნიკა გვარამია!

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

მედიის ადვოკატირების კოალიცია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მიმართავს და სთხოვს, „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხი დადებითად გადაწყვიტოს.

როგორც კოალიციის განცხადებაშია აღნიშნული, ამ გზით პრეზიდენტი შეასრულებს საკუთარ როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის განმუხტვასა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

„მედიის ადვოკატირების კოალიციის წევრი ორგანიზაციები მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ და დადებითად გადაწყვიტოთ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას შეწყალების საკითხი, რადგან ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მაუწყებლის „მთავარი არხის“ დამფუძნებლის და გენერალური დირექტორის დაპატიმრებით რეალური საფრთხე შეექმნა ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს. სამართლიანი კრიტიკა ნიკა გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებით ევროპარლამენტის 2022 წლის 8 ივნისის რეზოლუციაშიც „მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების დარღვევების შესახებ“ აისახა, რომლითაც ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მტკიცედ დაიცვას დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა კანონის უზენაესობა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, სამართლიანი სასამართლო პროცესები და ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის, მედიის თავისუფლების სფეროში.

მოხარული ვართ, რომ თქვენ მიერ 2022 წლის 14 ივნისს გაჟღერებული წუხილი, ევროპასთან ინტეგრაციის ხარვეზებთან დაკავშირებით, ნიკა გვარამიას უდროოდ დაკავებას და სასჯელის ყველაზე მძიმე ფორმით დასჯასაც შეეხო. ამასთან, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნიკა გვარამიას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დანაშაულის შემადგენლობის და სასჯელის ზომის განსაზღვრის თვალსაზრისით მნიშვნელოვან დარღვევებს შეიცავს. აღნიშნული დასკვნის საფუძველია საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული შეფასებები. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ნიკა გვარამიას დაკავებას არაერთი შიდა და საერთაშორისო აქტორი პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს.

მოგეხსენებათ, შეწყალების ინსტრუმენტი სახელმწიფო მეთაურთა ძალაუფლების პაკეტის ისტორიული კომპონენტია. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი შეწყალებას საქართველოს პრეზიდენტის ექსკლუზიურ კომპეტენციად განიხილავს. ურთიერთშეკავების და გაწონასწორების მექანიზმში მინიჭებული ფუნქციების მიღმა, სამართლის დოქტრინაში შეწყალების ინსტრუმენტის რამდენიმე ტრადიციული მიზანი განიხილება. მათ შორისაა ერის კონსოლიდაცია და სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

ერის კონსოლიდაციისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვის შესახებ თქვენ მიერ გაკეთებული განაცხადი განსაკუთრებული შემოთავაზებაა ქართული პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში. ის ფაქტი, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი მოსახლეობის გაცხადებული სურვილია, საქართველოს პრეზიდენტს აძლევს შესაძლებლობას, უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

მოგმართავთ, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, შეიწყალოთ ნიკა გვარამია და ამ გზით შეასრულოთ საკუთარი როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის განმუხტვასა და საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციის პროცესში.

თქვენი უფლებამოსილების გამოყენებით დაამტკიცოთ ევროკავშირის წევრობის რეალური სურვილი და მზაობა, ქვეყანამ გადალახოს არსებული დაბრკოლებები“ – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი; ლიბერალური აკადემია თბილისი; მედიაკლუბი; მედიის განვითარების ფონდი; მედიის ომბუდსმენი; რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი; სატელევიზიო ქსელი; საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო; სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია; საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია; საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და ღია საზოგადოების ფონდი.

# დავითგარეჯის საქმეზე სასამართლოში აზერბაიჯანში საქართველოს ყოფილი ელჩი დაიკითხა




დავითგარეჯის საქმეზე სასამართლოში აზერბაიჯანში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ გუმბერიძე დაიკითხა.

როგორც მან აღნიშნა, საბოლოო შედეგებს კომისია იღებდა, რომელიც მაღალი რანგის უფლებამოსილებით სარგებლობდა, აღნიშნულს კი საელჩო ადასტურებდა.

– ჩემ მიმართ ძირითადი შეკითხვები დაკავშირებული იყო იმ ფუნქცია-მოვალეობასთან, რომელთაც ვახორციელებდი როგორც საქართველოს საელჩო, დელიმიტაციის კომისიების სხდომების დროს ბაქოში. ძირითადად, ეს იყო პროტოკოლური ხასიათის ორგანიზება ამ შეხვედრებისა და, შესაბამისად, ჩვენ ვახორციელებდით ორგანიზაციულ საკითხებს. მიმართულებები, ძირითადად, ამასთან დაკავშირებული იყო. საბოლოო შედეგებს, რომელსაც კომისია, რომელიც მაღალი რანგის უფლებამოსილებით სარგებლობდა, იღებდა და ამ შედეგებს ვადასტურებდით.

2007 წელს დავამთავრე მუშაობა, როგორც ელჩმა, აბსოლუტურად განყენებული იყო კომისიის უფლებამოვალეობა და მისი ვალდებულებები, უფლებამოსილებები ჩვენგან. ჩვენ არ ვმონაწილეობდით არც წინა სამუშაოებში, არც რუკებში და ა.შ.

1996 წლის ალბომი მოამზადეს ქართველმა და აზერბაიჯანის ექსპერტებმა, როცა დელიმიტაციის კომისიის მუშაობა საერთოდ ნულიდან დაიწყო, ორივე მხარემ წარმოადგინა ალბომი, რომლის მიხედვითაც მოხდა იმ მონაკვეთების შეჯამება, არის თუ არა განსხვავება, – განაცხადა გუმბერიძემ.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი – ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში.

სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან გასული 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

# დაცვის პოლიციას აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები ესტუმრნენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს უსაფრთხოების განყოფილების წარმომადგენლები ეწვივნენ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრას დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ბაგრატიონი და მისი მოადგილე მიხეილ მაღლაკელიძე, აშშ-ის საელჩოს მხრიდან კი საელჩოს სამხედრო ძალების უსაფრთხოების განყოფილების სპეციალური წარმომადგენელი დევიდ ტერნერი და ამავე განყოფილების თანამშრომელი ლევან ორჯონიკიძე დაესწრნენ.

მხარეებმა სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი. გარდა ამისა, გიორგი ბაგრატიონმა და დევიდ ტერნერმა უსაფრთხოების მიმართულებით არსებული საკითხები მიმოიხილეს და სამომავლო თანამშრომლობის ასპექტები დასახეს.

# გორის მერია მორიგ სკანდალში ეხვევა



გორის ხელისუფლება მორიგ სკანდალში ეხვევა – საბიუჯეტო ორგანიზაციის თანამშრომელი ქრთამის აღებაშია მხილებული. საქმეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს.

მაია შარაშენიძე, რომელსაც ქრთამის აღებას ედავებიან, გორის მერიას დაქვემდებარებული კულტურისა და ტურიზმის სააგენტოს პროექტების მენეჯერია. ის ოფიციალურად სამსახურიდან ამ დრომდე არ გაუთავისუფლებიათ. თანამშრომლების თქმით, შარაშენიძე შვებულებაში იმყოფება.

ბრალდებულის აღკვეთ ღონისძიებაზე სასამართლომ უკვე იმსჯელა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ შარაშენიძე 5.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

შარაშენიძის ინტერესებს იცავს ადვოკატი თამარ თედლიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ გაუთქმელობაზე აქვს ხელი მოწერილი და დეტალებზე არ საუბრობს. თუმცა „მთავარი არხის“ ინფორმაციით, საქმე ეხება დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებას, რა დროსაც შარაშენიძემ ერთ-ერთ კომპანიას კონკრეტული მომსახურების სანაცვლოდ ხელშეკრულება გაუფორმა და ამაში ქრთამი აიღო.

– გიდასტურებთ, რომ ვიცავ საჯარო მოხელის ინტერესებს. მიმდინარეობს გამოძიება. აღკვეთის საქმეზე სასამართლომ იმსჯელა და გირაოა გამოყენებული. მაქვს ვალდებულება, არ გავახმაურო გამოძიების ინფორმაცია, სხვა დეტალის მოხსენებისა და გასაჯაროვებისგან თავს შევიკავებ. ედავებიან ქრთამს. ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით, თავს შევიკავებ კომენტარზე, – ამბობს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ გორის მერიას დაქვემდებარებული კულტურისა და ტურიზმის სააგენტო, ერთ-ერთი მსხვილი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, რომელიც სკანდალში უკვე არაერთხელ გაეხვა. კერძოდ, სწორედ ამ სააგენტოში ბიტკოინების ქარხანას ამუშავებდნენ, ხოლო სააგენტოს ბუღალტერი ათობით ათას ლარს ტოტალიზატორებში ირიცხავდა. „ქართულ ოცნებაში“ ისევ ამბობენ, რომ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ.

# პროკურატურამ დევნის შეწყვეტის და ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა



საქართველოს პროკურატურამ ძარცვის ორ ეპიზოდზე დაკავებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე, სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბრალდებულმა სავაჭრო ჯიხურის მინა შეამსხვრია და აშკარად მართლსაწინააღმდეგოდ ალკოჰოლურ სასმელებს დაეუფლა, რის შემდგომაც დანაშაულის ადგილიდან მიიმალა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ბრალდებულმა მიცკევიჩის ქუჩის მიმდებარედ, მოქალაქეს ჯიბიდან მობილური ტელეფონი გასტაცა და ასევე, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

დაკავებულს ბრალდება ძარცვის ორ ეპიზოდზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარედგინა (ძარცვა, სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაუყოვნებლივ დაენიშნა.

ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებულს შეურაცხადობა დაუდგინდა, რის გამოც იგი ფსიქიატრიულ მკურნალობას საჭიროებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარემ ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის და ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

# ქუთაისში მანქანა დაიწვა

ქუთაისში ავტომობილი დაიწვა – ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სახანძრო სამაშველო ჯგუფები იყვნენ მობილიზებული.

დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ამ დროისთვის ცეცხლის გაჩენის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია.

# სენაკში ავარიას მსხვერპლი მოჰყვა

სენაკის მუნიციპალიტეტში 64 წლის მამაკაცს ზ. უ.-ს ავტომობილი დაეჯახა და ადგილზე დაიღუპა.

სოფელ ნოსირის რწმუნებულის თქმით, შემთხვევა 14 ივნისს გვიან ღამით, პირველის ნახევარზე მოხდა.

ცხედარი ექსპერტიზის ბიუროდან საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს.

# „თამუნა ექიმი რეანიმაციაშია“

## ქალს ხობში მანქანა დაეჯახა



ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში, ქვეითად მოსიარულე ქალს ავტომობილი მის საცხოვრებელ სახლთან დაეჯახა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი თ.ჯ. ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის უკიდურესად მძიმეა.

– ერთი ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

ექიმები კი იბრძვიან კოლეგის სიცოცხლის გადასარჩენად, – ამბობს ოჯახის ახლობელი.

„გული და სული მეწვის ღმერთო, ეს რა ვნახე, უფალო, დიდება შენს ძალას, შენ დაუბრუნე დედას ჩვენი ანგელოზი, თამუ, შენ არ გაქვს უფლება, რომ არ იბრძოლო, ჩემო გოგო. ყველაფერი კარგად იქნება, მჯერა. შენ იცი, როგორი დიდი გულშემატკივარი ვარ, მალე გამოკეთდი, სიკეთის მატარებელი ხარ და უფალი არ მიგვატოვებს“, – წერენ ქალის ახლობლები სოციალურ ქსელში.

მძიმედ დაშავებული 38 წლის ახალგაზრდა ქალი ექიმია და ამ უბედური შემთხვევის დროს, იგი სახლიდან გუშინ დილას სამსახურში მიდიოდა.

– თამუნა ექიმი კოვიდის დროს წინა ხაზზე იდგა და რამდენი სიცოცხლე გადაარჩინა, ღმერთმა უნდა დაუბრუნოს იგი მის დედ-მამას და ძმებს, – თქვა ახალგაზრდა ქალის მეგობარმა.

უბედური შემთხვევა 15 ივნისს მოხდა და ქალი ამ დრომდე სიცოცხლისთვის იბრძვის.

# თბილისში ტრანსგენდერ ქალებს თავს დაესხნენ

თბილისში ტრანსგენდერ ქალებს რამდენიმე პირი თავს დაესხა.

– 20-მდე ბიჭი იყო, რომელთაც გამოიარეს, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოგვაყენეს რამდენიმე ტრანსგენდერ ქალს, სახეში მომხვდა ძალიან დიდი ქვა, ბოთლის ნატეხები ჰქონდათ, რომლითაც მომაყენეს დაზიანებები სხეულზე, – ამბობს ერთ-ერთი ტრანსგენდერი.

როგორც „პრაიმთაიმს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყეს, რაც ძალადობას გულისხმობს.

# ოსტინი: „მოხარული ვარ, მივესალმო ეკვადორს, საქართველოს და მოლდოვას“



მოლდოვა, საქართველო და ეკვადორი შეუერთდნენ შტაბის უფროსებისა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრას რამშტეინის ფორმატში, რომელიც უკრაინის სამხედრო დახმარების გაწევას უკავშირდება. ამის შესახებ ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა განაცხადა.

— რუსეთის შემოჭრის დაწყებიდან 45-ზე მეტმა მოკავშირემ და პარტნიორმა მთელი მსოფლიოდან გაუწია სამხედრო დახმარება უკრაინას. ეს ასახავს გლობალურ აღშფოთებას რუსული არაპროვოცირებული აგრესიის მიმართ და ასახავს გლობალურ გადაწყვეტილებას, დაიცვას წესებზე დაფუძნებული წესრიგი, — აღნიშნა ოსტინმა.

— დღეს მაქვს პატივი, ვუმასპინძლო 45-ზე მეტი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებს და შტაბის უფროსებს, ასევე ნატოს და ევროკავშირის წარმომადგენლებს. ასევე, მოხარული ვარ მივესალმო ეკვადორს, საქართველოს და მოლდოვას, რომლებიც შეუერთდნენ დღევანდელ საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრას, — დასძინა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ოსტინი გამოვიდა მოწოდებით. არ დაკარგოს დრო და დაასახელა იარაღის ტიპები, რომლებიც უკრაინაში მალე ჩავა.

ოსტინმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ფსონები მაღალია“ და გადამწყვეტი მომენტი დადგა ბრძოლის ველზე.

# ზელენსკი: „უკრაინამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კანდიდატის სტატუსი მოეპოვებინა“



დღეს ჩვენ ისე ახლოს ვართ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსთან, რაზეც რამდენიმე წლის წინ ვერც კი ვიოცნებებდით. უკრაინამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კანდიდატის სტატუსი მოეპოვებინა.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, პასუხი უკრაინის კანდიდატის სტატუსზე იქნება ევროკავშირის პასუხი არა მხოლოდ უკრაინის, არამედ საკუთარი თავის — მათი მომავლის, ევროკავშირის მომავლის მიმართ.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოს ნამდვილად სურს, უკრაინელებისგან ისწავლოს, როგორ იბრძოლონ და როგორ გაიმარჯვონ.

— ჩვენ ვიცავთ დონბასს. ყველა საერთაშორისო კონტაქტისას მესმის აღფრთოვანება ჩვენი დამცველების ქმედებებით. მსოფლიოს ნამდვილად სურს, უკრაინელებისგან ისწავლოს, როგორ იბრძოლონ და როგორ გაიმარჯვონ. ამ ომის 112 დღის განმავლობაში, უკრაინულმა არმიამ დაამტკიცა, რომ ბრძოლის ველზე სიმამაცე და სიბრძნე, ტაქტიკურად უნართან ერთად აჯობოს მტერს, მნიშვნელოვან შედეგს იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ არმიას, ჯარისკაცებისა და აღჭურვილობის რაოდენობით, მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

# ოლაფ შოლცი: „დახმარება, რომელსაც უკრაინას ვუწევთ, გაგრძელდება“

გვსურს, გამოვხატოთ მხარდაჭერა უკრაინისა და უკრაინის მოქალაქეების მიმართ. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა განაცხადა, რომელიც საფრანგეთისა და იტალიის ლიდერებთან ერთად 16 ივნისს კიევში ჩავიდა.

ამასთან, მისი თქმით, სამი ქვეყნის ლიდერებს კიევში ვიზიტით არა მხოლოდ სოლიდარობის დემონსტრირება სურთ, არამედ უკრაინელების იმაში დარწმუნებაც, რომ მათი დახმარება გაგრძელდება.

— ჩვენ არა მხოლოდ სოლიდარობის დემონსტრირება გვსურს, არამედ იმაში დარწმუნებაც, რომ დახმარება, რომელსაც ორგანიზებას ვუწევთ — ფინანსური და ჰუმანიტარული, ასევე, როდესაც საქმე ეხება იარაღს — გაგრძელდება, — განაცხადა ოლაფ შოლცმა.

მისი თქმით, მხარდაჭერა გაგრძელდება მანამ, სანამ საჭირო იქნება.

# რუმინეთის პრეზიდენტი კიევში ჩავიდა



რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი კიევში ჩავიდა. ამის შესახებ პრეზიდენტი ტვიტერში წერს.

„ჩემს ევროპელ კოლეგებთან, გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონსა და იტალიის პრემიერ-მინისტრ მარიო დრაგისთან ერთად კიევში ვარ იმისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი მტკიცე მხარდაჭერა და სრული სოლიდარობა პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და უკრაინელი ხალხის მიმართ. ეს უკანონო რუსული აგრესია უნდა შეჩერდეს!“ — წერს კლაუს იოჰანისი.

# რეზნიკოვი: „მთელი ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება ჩვენს ხელშია“



უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, ნატო-ს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან ნაყოფიერი შეხვედრა გამართა.

„ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა იენს სტოლტენბერგთან. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის თვალსაზრისით გზავნილი იყო ხმამაღალი და მკაფიო: კართაგენი განადგურდება! ვერავინ შეგვაჩერებს! მთელი ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება ჩვენს ხელშია. ამ ხელმა უფრო მძიმე იარაღი უნდა მიიღოს“— წერს რეზნიკოვი ტვიტერში.

შეგახსენებთ, 15 ივნისს ბრიუსელში უკრაინის მხარდაჭერის საკითხებზე საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე განიხილეს უკრაინის გადაუდებელი საჭიროებები შეიარაღებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

სპორტი

# შავი ლომი ქარის თასის ნახევარფინალისთვის ემზადება



შავმა ლომმა ქარის თასის რეგულარული გათამაშება მე-4 ადგილზე დაასრულა და ფლეი ოფში გავიდა. შედეგად, დღეს ნახევარფინალში რეგულარულ სეზონის ერთპიროვნულ ლიდერსა და ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდს გრიფონსს ეთამაშება.

რეალურად, ჩვენი გუნდი უფრო მაღალ ადგილს დაიკავებდა, მაგრამ რაგბი ევროპის სუპერ თასის ნახევარფინალსა და ფინალში თამაშის გამო, სამხრეთ აფრიკაში 2 შეხვედრა გაუცდა და წაგება ჩაეთვალა. მათ შორის იყო გრიფონსი, რომელთანაც ძალებს ფლეი ოფში მოვსინჯავთ.

სადღეისო გადასახედიდან, გრიფონსი ტურნირის უძლიერესი გუნდია 8-იდან 7 თამაში ბონუსით მოიგო და 4 ლელო მხოლოდ ელეფანტს ვერ დაუდო, მაგრამ სტუმრად გამარჯვება მაინც მოახერხა — 23:13.

საბოლოო ცხრილში ჩვენმა მომდევნო მეტოქემ 44 ქულა მოაგროვა, გაიტანა 51 ლელო და 435 ქულა, თავად კი 20 ლელო და 174 ქულა გაუშვა.

შავი ლომის სამწვრთნელო შტაბისთვის გრიფონსთან თამაში ყველაზე მეტად საინტერესოა და მას ნაადრევ ფინალად განიხილავენ. მით უმეტეს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ბორჯღალოსანთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდება, ძალებს აღიდგენს და ზაფხულის ტესტ-მატჩებისთვის მზადებას შეუდგება.

მიზეზთა გამო, სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრა და გუნდის ხელმძღვანელობა დისტანციურად მოუწია მთავარ მწვრთნელ ლევან მაისაშვილს, რომელიც ქარის თასის პირველ სეზონს და იქ მიღებულ გამოცდილებას აფასებს.

**ლევან მაისაშვილი:**

— ზოგადად, სამხრეთ აფრიკაში ვერ წასვლით დისკომფორტი შეიქმნა. ძალიან ძნელია ყოველდღიურ რეჟიმში დისტანციურად მუშაობა. მიუხედავად ყველაფრისა, მწვრთნელებთან და მოთამაშეებთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა, რადგან ივლისის ტესტების წინ ჩვენთვის ეს ტურნირი უმნიშვნელოვანესია. ტურნირის ორგანიზებით და ცალკეული კლუბების დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმის ნაკლებობით ჩვენც უკმაყოფილონი ვართ. თამაშებს ახლდა აგრესიული ფონი, რაც სამხრეთაფრიკული რაგბისთვის დამახასიათებელია. თუმცა, ჩარჩოებშია მოქცეული, ეს რაგბს უხდება კიდეც, მაგრამ ხშირი იყო უსიამოვნებები. არ მიყვარს მსაჯებზე საუბარი, თუმცა მთელ რიგ ეპიზოდებში მათი გადაწყვეტილებები კრიტიკას ვერ უძლებდა. სწორედ მსაჯების და მოთამაშეების არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარეობდა ეს ყველაფერი. ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევებში ასეთ პროვოკაციებს თავი კარგად გაართვეს. გავარჩიეთ სანდრო მამამთავრიშვილის ეპიზოდი, რომელმაც რამდენჯერმე სცადა კონფლიქტისთვის თავის არიდება, მაგრამ მეტოქე უკნიდან რამდენჯერმე ხელს ურტყამს და ამას საპასუხო რეაქცია მოყვება. მსაჯმა კი, სანდროს მისცა წითელი ბარათი და ამას 1-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მოყვა. ასეთი ეპიზოდებისგან თავის არიდება მნიშვნელოვანია, რადგან წინ სანაკრებო თამაშები გველის. მიუხედავად ყველაფრისა, ვთვლი, რომ მეორე ჩასვლაზე ჩატარებულმა 4-მა თამაშმა განსხვავებული, მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა.

ვნახეთ, რა ფასად დაგვიჯდა ერთ თამაშში მეტოქის შეუფასებლობა. გარდა ამისა, ყველა გუნდთან სერიოზული ბრძოლები გვქონდა. ვეთამაშეთ განსხვავებული სტილის გუნდებს. ყველა მათგანი რაქში იყო აგრესიული და სწრაფად თამაშობდა ხაზით, რაც შავი ლომისთვის საინტერესო იყო. მსგავსი ტიპის თამაშების გამოცდილება არ გვაქვს რაგბი ევროპის ჩემპიონატზე. ზეწოლა, წნეხი, მსაჯებისგანაც და მოთამაშეებისგანაც, არასწორი და ბინძური მომენტები, მოთმინების გამოცდის კარგი გაკვეთილი იყო, რისთვისაც პასუხს თამაშით ვცემდით. ეს იყო გამოცდილება, რომლის მსგავსიც ბიჭებს აქამდე არასდროს ქონიათ.

მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის ასე დიდი ხნით ქვეყნის გარეთ ყოფნაც პრობლემაა, მაგრამ მენტალური თვალსაზრისით ესეც საინტერესო გამოცდილებაა. კარგია, რომ ნახევარფინალში ქარის თასის უძლიერეს გუნდთან გვიწევს თამაში. ჩვენთვის ეს ფინალის ტოლფასია, რადგან მისი დასრულების შემდეგ სანაკრებო მოთამაშეების ნაწილი შინ ბრუნდება, რათა ადგილზე გააგრძელონ მზადება ივლისის ტესტებისთვის.

რაც შეეხება მორაგბეებს, ბევრ მათგანს მიეცა საკმარისი სათამაშო დრო, რისი საშუალებაც აქამდე არ გვქონია. სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ მიხეილ ბაბუნაშვილით, რომელმაც ყველა თამაში მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა. ლუკა მატკავას ქარის თასზე ხასიათის გამოვლენის შესაძლებლობა მიეცა. თუმცა, გარკვეულ ნიუანსებზე ბევრი აქვს სამუშაო. მთლიანობაში კი, დაკისრებულ ამოცანას თავი კარგად გაართვა. ტრავმების შემდეგ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის შანსი მიეცა ლაშა ლომიძეს. აქტიური იყო თენგიზ ზამთარაძე, რომელმაც ყველა თამაშზე თავი კარგად წარმოაჩინა. კარგი იყო ნიკა აბულაძე, რომელსაც ტრავმის გამო პირველ წრეში თამაშის შესაძლებლობა არ მიეცა.

ამ ტურნირზე გვქონდა ექსპერიმენტების შესაძლებლობაც და რამდენიმე პოზიციური ცვლილება განვახორციელეთ, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. დემე თაფლაძე კარგი ცენტრია, ის ფრთაზეც გამოვცადეთ და იქაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სანაკრებო თამაშებში რისკის გაწევა ჭირს, აქ კი,

გაგრძელება მე-7 გვერდზე



**საქართველოს მომსახურეობის სფეროს, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობა ულოცავს კავშირის ვეტერან წევრს**

## ტიტე დევაძეს

დაბადებიდან 90 წლისთავს.

ტიტე დევაძე 1955 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. იგი ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და საქმისადმი პასუხისმგებლობით. წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩაბმული პროფკავშირულ საქმიანობაში, მომუშავეთა შრომითი და სოციალური უფლებების დაცვაში.

თავისი ამაგისა და დამსახურებისათვის 2002 წელს იგი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით. პროფესიული კავშირის გამგეობა უსურვებს ტიტე დევაძეს ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლესა და ოჯახურ ბედნიერებას.

# ფიტნეს-მწვრთნელმა პრინცესა ევგენიას საიდუმლო გაამხილა



ფიტნეს-მწვრთნელმა ჯესს ტონკინგმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა 2018 წელს ქორწილის წინ წონაში დაკლება ბრიტანეთის პრინცესა ევგენიამ და მას შემდეგ ინარჩუნებს სასურველ წონას, მიუხედავად გადატანილი მშობიარობისა. სპეციალისტის თქმით, პრინცესამ ზედმეტი წონისგან განთავისუფლება ძირითადად სპორტის და დაბალანსებული ჯანსაღი კვების დახმარებით მოახერხა. ევგენია ყოველდღე ასრულებს ძალისმიერ ვარჯიშებს და ამიტომ მოახერხა ცხიმების დაწვა და კუნთოვანი მასის გაზრდა. ადრე ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში თავად პრინცესამ აღიარა, ყოველდღე, დილის შვიდ საათზე იწყებს ვარჯიშს. უყვარს სავარჯიშო დარბაზში სიარული და სირბილი.

ტონკინგის თქმით, იორკის პრინცესა ვეგანური დიეტის მიმდევარია და უყვარს ლონდონის ცენტრში მდებარე რესტორან Detox kitchen-ში სიარული. იქ ყოველთვის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კერძებს, წვენს და კოქტეილებს იღებს.

ფიტნეს-მწვრთნელის თქმით, პრინცესა იშვიათად სვამს ალკოჰოლურ სასმელებს, თუმცა ზოგჯერ შეუძლია თავს უფლება მისცეს, მიირთვას დაბალკალორიული სასმელი, მაგალითად, არაყი გაზავებული სოდიანი წყლითა და დიდი ოდენობით ცაცხვის წვენით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# თელავი და დილა ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ

თელავი-დილა 0:0

თელავი.

კავკასიონი არენა



**თელავი:** ბეზ-კროვნი, ც.კაპანაძე, ზ.თევზაძე, პავიშიჩი, აშორტია, გოშთელიანი, მახარობლიძე, ჯიქია, ფაცაცია, მუჯირი, თოლორდავა

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი, ღუდუშაური, თ.კაპანაძე, გაგნიძე, გონსალვესი, ძოწენიძე, სილვა

სანაკრებო პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნული ლიგა უფერულად განახლდა. თელავმა კავკასიონი არენაზე გორის დილას უმასპინძლა. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა – 0:0.

ფრე კახელებისთვის უფრო სასარგებლო გამოდგა, რადგან სატურნირო ცხრილში მეტნაკლებად ისეთი პოზიცია უკავიათ, რომ ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრებათ. თუმცა, მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვთ, რადგან მდევრების სუნთქვა ესმით.

გორელებმა კი, მორიგი ქულები დაკარგეს, რაც, შესაძლოა, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში ძვირი დაუჯდეთ. დილა ახლა მე-4 ადგილზეა და კონკურენტებზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 16 | 10 | 5 | 1 | 41-13 | 35 |
| 2.დინამო (თბ) | 16 | 9 | 5 | 2 | 27-13 | 32 |
| 3.სამგურალი | 16 | 8 | 6 | 2 | 26-13 | 30 |
| 4.დილა | 17 | 9 | 3 | 5 | 21-13 | 30 |
| 5.საბურთალო | 16 | 6 | 5 | 5 | 19-16 | 23 |
| 6.თელავი | 17 | 5 | 6 | 6 | 19-16 | 21 |
| 7.ტორპედო | 16 | 5 | 3 | 8 | 13-24 | 18 |
| 8.გაგრა | 16 | 5 | 2 | 9 | 18-26 | 17 |
| 9.სიონი | 16 | 4 | 5 | 7 | 17-29 | 17 |
| 10.ლოკომოტივი | 16 | 0 | 0 | 16 | 12-50 | 0 |

# რუსი ფეხბურთელის აღიარება — მრცხვენია, რომ რუსი ვარ




იგორ დენისოვი 2012-16 წლებში რუსეთის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი იყო. დენისოვს რუსულ ფეხბურთში უთამაშია ზენიტში, ლოკომოტივში, დინამოში და ყველგან კაპიტნის სამკლავური ეკეთა.

ერთ დროს, მის სიტყვას ფასი ჰქონდა, ახლა კი...

**იგორ დენისოვი:**

– 25 თებერვალს შოკში ჩავვარდი. როდესაც გავიგე, რომ ჩემი ქვეყანა უკრაინას თავს დაესხა. ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ, ბუზის მოკვლა არ შემიძლია. ჩემთვის ეს კატასტროფაა, სრული საშინელებაა. არ ვიცი, ამ სიტყვების გამო იქნებ ციხეში ჩამსვან ან მომკლან, მაგრამ ვამბობ იმას, რასაც ვგრძნობ.

ჩემი წარმოდგენა ყველაფრის შესახებ შეიცვალა. ვერავის შეეძლო ჩემთვის რაიმეს ახსნა. შეიძლება იმიტომ, რომ ბევრი რამ არ ვიცი ისტორიაში.

ვერ გავიგე, როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება, საზღვარგარეთ წავსულიყავი თუ დავრჩენილიყავი. 1 კვირა ვიფიქრე და გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა.

საზღვარგარეთ ცხოვრებას ვერ ვახერხებ. მე რუსული ეზოს ბიჭი ვარ. მე არ მჭირდება ესპანეთი და ინგლისი. მე მინდა, რომ აქ ლამაზად და მშვიდად ვიცხოვრო.

ესპანეთში სახლის გაყიდვა გადავწყვიტე, სადაც 2,5 წელია არ ვყოფილვარ, რადგან კოვიდის გამო შეზღუდვები იყო. ახლა ვიზაზე მივმართეთ, მაგრამ ცოლშვილს არ აძლევენ.

აქ უფრო კომფორტულად ვარ. ევროპაში ვერ ვიცხოვრებ. მირჩევნია, რუსეთში ტყეში ვიცხოვრო, ვიდრე ესპანეთის ვილაში.

პუტინისადმი მიმართვა დავწერე, მისი გამოქვეყნება გვინდოდა, მაგრამ ყველა მედიასაშუალებამ უარი გვითხრა.

მიმართვაში ვამბობდი, რომ მზად ვიყავი პუტინის წინაშე დამეჩოქა, რათა მას ეს ყველაფერი შეეჩერებინა... მე, ამაყი ბიჭი, ამის გასაკეთებლად მზად ვიყავი! ეს მე-4 თუ მე-5 დღეს ხდებოდა. რა არის ერთი ადამიანის ცხოვრება, მაგალითად, ვიღაც დენისოვის?! აღარ იყო არანაირი სიამაყე, რადგან უკვე ვიცოდი, სად შეიძლებოდა წასულიყო ეს ყველაფერი, თუმცა მიმართვა არავინ გამოაქვეყნა.

აღარ ვამაყობ, რომ რუსი ვარ...

გეტყვით, რომ რუსეთში მიღებული კანონით, ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც საკუთარ ქვეყანას გააკრიტიკებს ან ომის დასრულებისკენ მოუწოდებს, 15-წლიანი პატიმრობით ისჯება.

# შავი ლომი ქარის თასის ნახევარფინალისთვის ემზადება

დასაწყისი მე-6 გვერდზე

მირიან მოდებაძემ ფულბეკად ითამაშა და მიუხედავად შეცდომებისა, მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეს სწორედ ის ტურნირია, სადაც რისკის უფლება გვაქვს, რის შემდეგაც გვაქვს ანალიზი და სამომავლოდ ნაკრებს ესეც წაადგება.

ქარის თასი სანაკრებო მოთამაშეებისთვისაც კარგი გამოცდილება იყო. გვყავს 5-6 ისეთი მოთამაშე, რომელთაც 1.000 წუთზე მეტი სათამაშო დრო დაუგროვდათ. იმ მორაგბეებსაც, რომელთაც ტრავმის გამო თამაშები ვერ მივეცით, უკვე საკმარისი სათამაშო დრო დაუგროვდათ და ეს ძალიან კარგია სანაკრებო თამაშების წინ.

გასულ კვირაში გრიფონსი ისვენებდა, შავმა ლომმა კი, ლეოპარდს 24:14 აჯობა, 4 ლელოს გატანისთვის ბონუსიც მიითვალა და ამით საფლეიოფო ოთხეულში ადგილი დაიმკვიდრა.

იმ თამაშის შემდეგ ჩვენი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში 4 ცვლილებაა. ფრთაზე ბრუნდება ალექსანდრე თოდუა, ცენტრში – დემე თაფლაძე, რომელმაც ლეოპარდსთან ფრთაზე ითამაშა. ხაზის მოთამაშეებიდან ძირითადში ადგილი შეინარჩუნეს თენგიზ პერანიძემ, ლუკა მატკავამ, მერაბ შარიქაძემ, აკა ტაბუცაძემ და მირიან მოდებაძემ.

**3 ცვლილებაა შერკინებაში.** კვაჭის პოზიციაზე მოედანზე პირველივე წუთებიდან გავა შალვა მამუკაშვილი, თენგიზ ზამთარაძემ მარქაფაში გადაინაცვლა. მეორე ხაზში ნოდარ ჭეიშვილის ნაცვლად თამაშს იწყებს მიხეილ ბაბუნაშვილი. ძირითადში ბრუნდება მესამეხაზელი სანდრო მამამთავრიშვილი.

შერკინებაში ადგილი შეინარჩუნეს ნიკა აბულაძემ, ნიკა ხატიაშვილმა, ლაშა ჯაიანმა, ლუკა ივანიშვილმა და თორნიკე აქუბარდიამ.

**მარქაფაში 2 ახალი სახეა** – ბურჯი გოგა ქადარია და ხაზში ოთარ ლაშხი. გუნდს შეცვლებიდან გააძლიერებენ თენგიზ ზამთარაძე, ნიკა პატარაია, სანდრო ქოიავა, კოკი თხილაიშვილი, გიორგი ბეგაძე და გიორგი ბაბუნაშვილი.

**ხაზი:** 15. მირიან მოდებაძე, 14. აკა ტაბუცაძე, 13. დემე თაფლაძე, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. ლუკა მატკავა, 9. თენგიზ პერანიძე;

**შერკინება:** 1. ნიკა აბულაძე, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. ნიკა ხატიაშვილი, 4. მიხეილ ბაბუნაშვილი, 5. ლაშა ჯაიანი, 6. სანდრო მამამთავრიშვილი, 7. ლუკა ივანიშვილი, 8. თორნიკე აქუბარდია.

**მარქაფა:** 16. თენგიზ ზამთარაძე, 17. გოგა ქადარია, 18. ნიკა პატარაია, 19. სანდრო ქოიავა, 20. კოკი თხილაიშვილი; 21. გიორგი ბეგაძე, 22. გიორგი ბაბუნაშვილი, 23. ოთარ ლაშხი.

# ხაშურის სტადიონს გახსნიდან ერთ თვეში დისკვალიფიკაცია ემუქრება

ერთი თვის გახსნილიც არ არის ხაშურის სტადიონი და გარკვეული დროით ისევ მოუწევს დაკეტვა. მატჩები კი გაიმართება, მაგრამ გულშემატკივრებს დასწრება დიდი დროით აეკრძალებათ.

საქმე ის არის, რომ საქართველოს რეგიონული ლიგის მე-10 ტურის შეხვედრაში ხაშურის ივერიასა და გლდანის მატჩის მიწურულს ტრიბუნიდან მოედანზე ბოთლი ისროლეს. გლდანელთა მეკარემ ბოთლის მოედნიდან უკან გადაგდება სცადა და ხაშურის შემტევს სანდრო ხაჩიძეს მოარტყა, რომელსაც 2 ნაკერი დაადეს.

ამ ინციდენტის შემდეგ, მოედანზე ფეხბურთელებს შორის ჩხუბი დაიწყო. თუმცა, ეს არაფერი – ფეხბურთელების ჩხუბში ხაშურელი ქომაგებიც ჩაერივნენ, რომლებიც მოედანზე დიდი რაოდენობით შეიჭრნენ.

გლდანის გუნდი ხაშურის პოლიციამ გორამდე ესკორტით გააცილა.

ახლა სიტყვა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტზეა, რომელმაც განაჩენი უნდა გამოიტანოს...

ხაშურის სტადიონზე მომხდარ ინციდენტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლევან კობიაშვილი** გამოეხმაურა:

– ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა ხაშურში. ამ ქალაქში გულშემატკივარი დიდი ხნის განმავლობაში ელოდა ახალ სტადიონს და ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ინციდენტი დაფიქსირდა.

მსგავსი შემთხვევები აზიანებს ჩვენთვის საამაყო სპორტის სახეობას, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. ვწუხვარ, რომ ხაშურის ახალი სტადიონი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ასეთი ფორმით მოექცა.

არანაირი გამართლება არ აქვს და ჩემთვის სრულიად მიუღებელია, რაც საფეხბურთო მინდორზე ვიხილეთ!

ინციდენტზე სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს და შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

# 14 წლის ევროპის ჩემპიონი — ვახტანგ ლოლუამ უფროსები დაანგრია



ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე 17-წლამდელთა ნაკრებმა 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც გუნდურ შედეგში მე-2 მაჩვენებელი გამოდგა.

ევროპის ჩემპიონები 14 წლის ვახტანგ ლოლუა და ანრი ხოზრევანიძე გახდნენ.

განსაკუთრებით გამოსარჩევია ლოლუას ასპარეზობა, რომელმაც გაცილებით დიდი ასაკის სპორტსმენებს აჯობა. დაგვეთანხმებით, ამ ასაკში 3 წელი სოლიდური სხვაობაა. ლოლუამ ფინალში აზერბაიჯანელი ელვინ იბადოვი 4:1 დაამარცხა. 14 წლის ფალავანმა ფინალამდე უკრაინელ ნიკიტა დემენტიევსა და ბულგარელ ალიოშა ილიევს აჯობა.

ხოზრევანიძემ ასევე აზერბაიჯანელს ვადატ გასიმილს მოუგო. ქართველმა მოჭიდავემ ოქროს მედლამდე მოლდოველ მაქსიმ სარმანოვსა და უნგრელ პეტერ ტოტოკოს სძლია.

ვერცხლის მედალი ავთანდილ მამალაძემ დაისაკუთრა. სამწუხაროდ, ჩვენი ფალავანი ფინალში აზერბაიჯანელ მაჰამმად გასიმზადესთან დამარცხდა.

საბა სურმანიძე კი ბრინჯაოს დასჯერდა. მედლისთვის ბრძოლაში საბამ უკრაინელ მაქსიმ ჩუბენკოს აჯობა.

ევროპის ჩემპიონატზე საქმეში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაერთვებიან. საქართველოს სახელით ნიკოლოზ ბოჭორიშვილი, გიორგი რომელაშვილი, ლაშა გოგაძე, საბა ღამბაშიძე, დავით ქობულაშვილი, გოგა ოთინაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, სანდრო ყურაშვილი, ნიკა ფანცულაია და რამინ გულიტაშვილი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ნანა წულაია:** მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**ვახო წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**რეზო ნარმანია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**თამრიკო მხეიძე:** 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოჩვენებითი, ყალბი მამაცობა; 2. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბბინა; 3. ოსმალთა სახელწოდება ევროპაში; 4. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 5. რაიმეს შემადგენელი ნაწილი; 10. შენობის, ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 11. პოპულარული პარკი თბილისში; 12. დიპლომატიური წარმომადგენელი; 13. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 16. ქართველი მხატვარი მამაკაცი, გობელენისტი; 17. ფრანგი პოლიციელი; 19. ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული სულის ხუთვა; 21. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 23. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში; 7. ძველებური ქართული ურითმო ლექსი; 8. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 14. სიმღერის შესრულების იტალიური მანერა; 15. ეკლესიის მნათეს ძველებური სახელწოდება; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 20. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 22. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 24. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 25. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 26. ცხენის მოსართავი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხოტი; 2. ლონჟა; 3. აშუღი; 4. ფორდი; 5. ესკიზი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. დელტაპლანი; 11. ვაშლოვანი; 14. გრემიო; 15. ბურახი; 16. ქლესა.

**თარაზულად:** 1. ხაშლამა; 4. ფლემინგი; 7. ტვინი; 9. დიოდი; 12. ჩიტაია; 13. აგავა; 14. გაბენი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მერკური; 2. ემბრიონი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. მიტელშპილი; 10. ჰამერი; 11. პარფორსი; 12. ბოცმანი; 13. ეკიპაჟი; 16. შარლატანი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. კანტი; 23. ფოლგა.

**თარაზულად:** 6. დეკამერონი; 7. კოფეინი; 8. ნუტრია; 9. დემენცია; 14. სკრეპერი; 15. რეცეპტორი; 18. დასტა; 20. ლაშქარი; 22. ყიფიანი; 24. ხარება; 25. მალაქიტი; 26. ელგუჯა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9358

ევრო — 3.0524

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.5635

100 რუსული რუბლი — 5.1487

## ამინდის პროგნოზი 17 ივნისისათვის




# ბენზემა: „მწვრთნელობაზე უკვე ვფიქრობ“



მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელი გახდეს და ის უკვე ფიქრობს ამაზე, თუმცა კარიერის დასრულებას ბენზემა ჯერ არ აპირებს:

– მინდა, რომ მწვრთნელი ვიყო და ფეხბურთელებს ვასწავლიდე იმას, რაც ვიცი. ეს დღე აუცილებლად დადგება, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ რეალთან ერთად ტიტულები მოვიგო.

# დანი ალვეში ბარსელონაში კარიერას არ გააგრძელებს



ბარსელონას ბრაზილიელი მცველი დანი ალვეში კარიერას ბარსელონაში არ გააგრძელებს და მას ამის შესახებ უკვე უთხრა კლუბის ხელმძღვანელობამ.

ალვეშს კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება და ის თავისუფალი აგენტი გახდება, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ალვეში კარიერას.

# პოგბას მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველის პოლ პოგბას მომავალი ჯერ გარკვეული არ არის, რადგან, შესაძლოა, ის მანჩესტერში დარჩეს, თუმცა, ასევე არსებობს იმის შანსი, რომ პოგბამ კარიერა პსჟ-ში გააგრძელოს, თუ გუნდები შეთანხმდებიან, მაგრამ იუნაიტედს მისი გაშვება არ სურს.

პოგბა ჯერჯერობით ამ თემაზე საუბრისგან თავს იკავებს, რადგან მას საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ანა სანაიამ რეჟისორობა დაიწყო



მსახიობმა ანა სანაიამ რეჟისორობა დაიწყო. მისი ნამუშევრები სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. თავდაპირველად მან მეგობრებთან ერთად ცნობილი ქართული ფილმები გააცოცხლა. ამჯერად კი ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით სხვადასხვა პროექტებზე მუშაობს:

– ისრაელისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე საიუბილეო წლისთავთან დაკავშირებით, ისრაელის საელჩო თანამშრომლობს ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობთან, რეჟისორთან და დრამატურგთან, ანა სანაიასთან, რომელიც სულ მალე წარმოგვიდგენს 3-მოკლემეტრაჟიან ფილმს ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიებზე. ანა სანაიამ შეკრიბა გამორჩეულად ნიჭიერი შემოქმედებითი გუნდი და მოახდინა საკუთარი ორიგინალური სცენარის ვიდეო ადაპტაცია, – ნათქვამია ისრაელის საელჩოს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, კანფეტებს შრიალა ქაღალდში რატომ ახვევენ?

– იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს, როგორ ხდება დედაშენი.

●●●

რუსს ეუბნებიან:

– თქვენთან როგორ უხარისხო გზებია!

– სამაგიეროდ, სულელები გვყავს ხარისხიანი.

●●●

ქალი ექიმს ურეკავს და ეკითხება:

– ექიმო, ჩემმა ბავშვმა ქვიშა გადაყლაპა, ბევრი წყალი დავალევინე და ახლა როგორ მოვიქცე?

– შეეცადე, ბავშვი ცემენტთან ახლოს არ მივიდეს!...

●●●

ცოლი და ქმარი მოდების ჩვენებას ესწრებიან. პოდიუმზე ბიკინებში გამოწყობილი მოდელები გამოდიან.

ცოლი ქმარს ეუბნება:

– რა პირი დაგიღია? რა, მეტყველების უნარი სულ დაკარგე? თხუთმეტი წელია ცოლ-ქმარი ვართ, რა, არასოდეს გინახია ქალის ფეხები, ან მკერდი?

– ჩუმად! ხელს ნუ მიშლი! ახლა სწორედ მაგ კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს.

●●●

სასიმამრო სასიძოს ეკითხება:

– ასე ყმაწვილო, თქვენ ჩემს ქალიშვილზე გსურთ დაქორწინება?

– დიახ!

– და თქვენ შეგიძლიათ, მას განქორწინება იმ პირობებით მისცეთ, რომელსაც ის უკვე შეჩვეულია?

●●●

რუსს ეუბნებიან:

– ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი განწყობას ამაღლებს.

– მაგათ ჯერ არაყი არ გაუსინჯავთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სიქსტის კაპელაში ილია მეორის საგალობელი აჟღერდება



სიქსტის კაპელაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საგალობელი „ავე მარია“ შესრულდება.

26 ივნისს სიქსტის კაპელაში, სადაც უცხოელები ძალიან იშვიათად მღერიან ან კონცერტს მართავენ, სვიმონ ჯანგულაშვილისა და გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით 40 მომღერალი-მგალობელი სამების საკათედრო ტაძრის გუნდიდან, მთელი შემადგენლობით კონცერტს გამართავს.

– ეს ხდება პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ქართველი იმღერებს სიქსტის კაპელაში. 29 ივნისს, როდესაც თავად პაპი აღავლენს საზეიმო მესას წმინდა პეტრესა და პავლეს დღესასწაულზე, წმინდა პეტრეს ტაძარში, სადაც უამრავი მომლოცველი იქნება, საერთაშორისო დელეგაციები, პატრიარქის დაფუძნებული სამების გუნდი მესის დასრულების შემდეგ – მესაში, ჩვენი რწმენიდან გამომდინარე, რასაკვირველია, არ ვმონაწილეობთ, რომელსაც თვით პაპი აღავლენს, შეასრულებენ ილია მეორეს „ავე მარია“ და, სავარაუდოდ, როგორც ბატონი სვიმონ ჯანგულაშვილისგან ვიცით, „შენ ხარ ვენახიც“. როგორც სიქსტის კაპელაში გამართული კონცერტი, ასევე საზეიმო მესა გადაიცემა კათოლიკურ სამყაროში პირდაპირი ეთერით. ეს არის ისტორიული მოვლენა და, ვფიქრობ, არავინ გვიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ყველა ის თემა, რასაც შეიძლება განვიხილავდეთ, არის უფრო პატარა, ვიდრე ის, რასაც ახლა ველოდებით დიდი სიხარულით, – განაცხადა კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

# მაესტრო ზაზა აზმაიფარაშვილი იუბილარია



ცნობილი ქართველი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი იუბილარია. მას 60 წელი შეუსრულდა.

ზაზა აზმაიფარაშვილმა თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურაში საოპერო-სიმფონიური დირიჟორის სპეციალობა შეისწავლა.

სხვადასხვა წლებში იგი დირიჟორობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრს, იყო რუსეთის სახელმწიფო აკადემიური დიდი სიმფონიური ორკესტრისა და სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის აკადემიური სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

ზაზა აზმაიფარაშვილი მიიწვიეს ესპანეთში, სადაც პიეტრო მასკანის ოპერას „სოფლის ღირსებას“ უდირიჟორა. მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე უდირიჟორა რუსეთის დიდ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, სადაც სოლისტი ელისო ვირსალაძე გახლდათ.

ზაზა აზმაიფარაშვილი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, შემდეგ – საპატიო დირიჟორი, ახლა კი მთავარი დირიჟორია. მისი დირიჟორობით დაიდგა არაერთი ოპერა: ჯუზეპე ვერდის „მაკბეტი“, „აიდა“, „ტრუბადური“, „ნაბუკო“, „ატილა“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, თაქთაქიშვილის „მინდია“, პუჩინის „ტურანდოტი“, ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.

იუბილარ ხელოვანს განხორციელებული აქვს 28 საოპერო პრემიერა. წლებია თანამშრომლობს არაერთ ქართველ საოპერო ვარსკვლავთან ზურაბ სოტკილავასთან, მაყვალა ქასრაშვილთან, ცისანა ტატიშვილთან, ბადრი მაისურაძესთან, გიორგი გაგნიძესთან, მაია თომაძესთან, ლადო ათანელთან; მას შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებს მსოფლიოში სახელგანთქმულ უცხოელ შემსრულებლებთან ალესანდრა მარკისთან, სამუელ ესტესთან, ფერუჩო ფურლანეტოსთან, დმიტრი ხვოროსტოვსკისთან, ქრისტიან იოჰანსონთან, ანდრეა როსტისთან...

ზაზა აზმაიფარაშვილი სერგეი პროკოფიევის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის მეორე პრემიის მფლობელია.

იუბილარი მაესტრო დღემდე მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრაზე, არის სრული პროფესორი.

# კარლ ჰარცელმა „ბრავო რეკორდსში“ სიმღერა ჩაწერა



საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩმა, კარლ ჰარცელმა, მეუღლესთან და ჯგუფ „ვაკის პარკის“ წევრებთან ერთად „ბრავო რეკორდსში“ სიმღერა ჩაწერა.

ინფორმაცია „ბრავო რეკორდსის“ ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ გაავრცელა:

– საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ელჩმა, ბატონმა კარლ ჰარცელმა, მეუღლესთან და ჯგუფ „ვაკის პარკის“ წევრებთან ერთად „ბრავო რეკორდსში“ სიმღერა ჩაწერა.

ბევრისთვის სასიამოვნო მოულოდნელობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბატონი ჰარცელი თავად ქმნის საავტორო სიმღერებს, ერთ-ერთი მათგანი ამ რამდენიმე დღის წინ „ბრავო რეკორდსში“ სტუდიებში ჩაიწერა. სიმღერის არანჟირებაზე ჯგუფ „ვაკის პარკის“ წევრებმა ზაზა ხუციშვილმა და ირაკლი სანაიამ იმუშავეს. სიმღერა შვედურ ენაზეა და როგორც მუსიკა, ასევე ტექსტი ბატონ კარლ ჰარცელს ეკუთვნის.

სიმღერის ჩაწერაში მონაწილეობდნენ: დრამი – კარლ ჰარცელი, ბასი – მეტე ჰარცელი, გიტარა – ზაზა ხუციშვილი, კლავიში – ირაკლი სანაია, ბექ-ვოკალი – ნანა კალანდაძის ვაჟთა ტრიო.

# თენგიზ მუშკუდიანი 95 წლის გახდა



ოპერის მომღერალი, არაერთი თაობის აღმზრდელი თენგიზ მუშკუდიანი 95 წლის გახდა.

დაბადების დღე მას კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, სტუდენტებმა მიულოცეს.

საქართველოს სახალხო არტისტისა და ღირსების ორდენის კავალერის თენგიზ მუშკუდიანის მთავარი ჯილდო და ყველაზე ღირებული საჩუქარი ათასობით ადამიანის უანგარო სიყვარულია.

იუბილარი ხელოვანი მისი არაჩვეულებრივი სასიმღერო მონაცემების გარდა, უნიჭიერესი მსახიობიცაა. მან მონაწილეობა მიიღო რეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში „აბეზარა“, სადაც არქიტექტორ გიორგის როლი შეასრულა. სწორედ ეს ფილმი გარდა მისი სავიზიტო ბარათი ქართულ კინოში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ასტროპროგნოზი



## 17 ივნისისათვის

**ვერძი** – შესაფერისი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, რაც თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გარანტია იქნება. **კურო** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. შემოქმედებითი პოტენციალი დღეს მძლავრობს. **ტყუპები** – დაძაბული ეტაპი გაქვთ. თუ მის გადალახვას მოახერხებთ, მიზნის მიღწევაში ხელს ვეღარაფერი შეგიშლით. **კირჩხიბი** – საყიდლებზე წასვლა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში. **ქალწული** – ეს დღე პირადი ცხოვრების მოწესრიგებით დაიწყეთ. ოდნავ დაძაბული ხართ. **სასწორი** – სარისკო პროექტებში ნუ ჩაერთვებით. ასევე, არ ღირს საყიდლებზე წასვლა. **ღრიანკალი** – ემოციები აკონტროლეთ. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. ჩანაფიქრის რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – დღეს მხოლოდ პირად ცხოვრებას მიხედეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – ძალიან დატვირთული ხართ, მაგრამ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ და გართობისთვისაც მოიცლით. **თევზები** – დიდია კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა. კამათში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. პორტატული გეოდეზიური ხელსაწყო; 4. მტკვრის ნაპირას მდებარე ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 3. აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 6. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. ქართველი სუმოისტი; 11. ფრანგული ვაშლის არაყი; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, სასტუმროების ქსელის მფლობელი კომპანია; 16. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება.

**თარაზულად:** 1. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 7. თოფის წამალი; 9. მიქელანჯელოს ქანდაკება; 12. ფერადი საქარგავი ძაფი; 13. გურულების, მესხების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 14. სევდიანი ლირიკული ლექსი; 17. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. კიბერნეტიკის ნაწილი; 20. პატარა ტანის ავსტრალიური კენგურუ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

